ირინა სამსონია

წიგნიერება

მასწავლებლის სახელმძღვანელო

OPEN SOCIETY INSTITUTE

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

ირინა სამსონია

წიგნიერება

მასწავლებლის სახელმძღვანელო

OPEN SOCIETY INSTITUTE

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

თბილისი 2013

პროექტი „ახალი შესაძლებლობები საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს“ დაფინანსებულია ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მიერ და ხორციელდება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის, ასოციაცია ზეკარისა და მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის მიერ.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მოსაზრებებს.

Project “New Opportunities for Educationally Deprived Children” was made possible by the support of European Union and Open Society Institute. Project is implementing by the Civic development Institute, Association “Zekari” and Marneuli Youth Center.

The contents of this publication do not necessarily reflect the views of European Union and Open Society Institute

ავტორი: **ირინა სამსონია**
რეცენზენტი: **სიმონ ჯანაშია**
დიზაინერ-დამკაბადონებელი: **ეკატერინე წიქარიშვილი**

საკონსულტაციო საბჭო
ანთაძე ია
ბოჭორიშვილი მანანა
გორგოძე სოფიო
მოსიაშვილი თამარ

წიგნის შექმნაში განსაკუთებული წვლილი შეიტანეს სამოქალაქო განვითრების ინსტიტუტის თანამშრომლებმა, განათლების ექსპერტებმა, რომლებმაც შეიმუშავეს განათლების მეორე შანსის ქართული მოდელი.

იდეის წარმატებით განხორციელების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ:
ბაქრაძე მაია
თოფაძე ქეთევან
კობალაძე ქეთევან
კორძაძე ეკატერინე
პაპავა პაატა
სამსონია ირინა
ჭანტურია თამარ

დაიბეჭდა გამომცემლობა მწიგნობარი
თბილისი, 2013

© სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2013

ISBN 978-9941-0-5318-4

სარჩევი

შესავალი 5
მისაღწევი შედეგების ჩარჩო 7
მიმართულება: წერა 11
სიტყვების წაკითხვა 14
როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს სიტყვების წაკითხვა? 16
თავისუფლად კითხვა 17
როგორ ვასწავლოთ თავისუფლად კითხვა? 18
ლექსიკის დაუფლება 22
როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ლექსიკის დაუფლებაში? 23
წაკითხულის გააზრება 29
როგორ ვასწავლოთ წაკითხულის გააზრება? 30
მოტივაცია 36
გამოყენებული ლიტერატურა 94

შესავალი

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის მიხედვით, კითხვის ადრეულ ეტაპზე გამოყოფენ ხუთ ძირითად კომპონენტს, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ კითხვის პროცესში:

- ფონოლოგიური ცნობიერება გულისხმობს სიტყვის აკუსტიკური ხატის შემადგენელი უმცირესი ერთეულების - ბგერების ანუ ფონემების -გაცნობიერებასა და მათი გამოყენების უნარს. ფონოლოგიური ცნობიერების თანამდევი უნარებია, მაგალითად, სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლა, აგება თუ ტრამსფორმირება, მარცვლებისა თუ მთლიანი სიტყვების გარითმვა და ა.შ.
- ანაბანური პრინციპის გაგება, ანუ მოსწავლეა ცნობიერებს, რომ თითოეულ ბგერას შეესაბამებამისი გრაფიკული გამოხატულება - ასო. ასოები კი ქმნიან კონკრეტულ სიტყვებს. სიტყვების წაკითხვისას და წარმოთქმისას მკითხველი იყენებს სწორედ ანბანური პრინციპის ცოდნას, ანუ ამოიცნობს ასოებს, რომლებიც კონკრეტულ ბგერებს შეესაბამება.
- თავისუფლად კითხვა გულისხმობს ძალდაუტანებელი, ავტომატური კითხვის უნარს, მთლიანი სიტყვების ამოცნობას ერთი შეხედვით, დეკოდირების გარეშე. თუკი ასეთმკითხველს მოვუსმენთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ მისი მეტყველების ტემპი და ინტონაცია ოდნავაც არ არისხელოვნური.
- ლექსიკის დაუფლება გულისხმობს სიტყვების (ლექსიკური ერთეულების) სრულყოფილად გაგებისა და გამოყენების უნარსროგორც ზეპირმეტყველებაში, ასევე კითხვისა და წერის დროს.
- წაკითხულის გააზრება კითხვის ძირითადი მიზანია. იგი თავის თავში მოიცავს რთულ კოგნიტურ პროცესებს, რომლებიც ეხმარება მკითხველს, აზრი გამოიტანოს წაკითხულიდან, კითხვის პროცესშივე დააფიქსიროს მისთვის გაუგებარი ან რთულად გასაგები ადგილები და გამოიყენოს სათანადო სტრატეგიები ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

თუმცა კითხვაში პრობლემების მქონე მოზრდილი მკითხველებისთვის პრიორიტეტები ცოტათი განსხვავებულია. ფონოლოგიური ცნობიერება და ანბანური პრინციპის გაგება შედარებით მაღალ

კლასებში წიგნიერების უნარების სწავლებაში არსებითი მნიშვნელობის მქონე კომპონენტებად არ მიიჩნევა, რადგან მოზრდილ ასაკში თითქმის ყველა, თუნდაც კითხვაში ძალიან სუსტ მოსწავლეებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სიტყვების წაკითხვა მაინც შეუძლიათ. თუკი მათ მაინც სჭირდებათ დახმარება ამ მიმართულებით, უმჯობესია ამისთვის გამოვიყენოთე.წ. „სიტყვების სწავლება“, რაც, ანაბანური პრინციპის სწავლებასთან შედარებით უფრო რთული უნარების გამომუშავებას გულისხმობს.

ხუთი მთავარი კომპონენტი, რომლებიც საფუძვლად უდევს კითხვის უნარის განვითარებას,ასე გამოიყურება სწავლების ადრეულ და შემდგომ ეტაპებზე:

მე-3 კლასის ჩათვლით		**მე-4 კლასიდან ზემოთ**
ფონოლოგიური ცნობიერება		სიტყვების სწავლება
ანბანური პრინციპის გაგება		თავისუფლად კითხვა
თავისუფლად კითხვა	→	ლექსიკის დაუფლება
ლექსიკის დაუფლება		წაკითხულის გააზრება
წაკითხულის გააზრება		მოტივაცია

როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვალში აღარ გვხვდება ფონოლოგიური ცნობიერება და ანბანური პრინციპის გაგება, მაგრამ მას დაემატა მოტივაციის კომპონენტი. კითხვაში წარმატების მისაღწევად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მოტივაცია. მოზრდილ მკითხველებში სწორედ მისი ნაკლებობა ან არარსებობა აფერხებს კითხვის უნარის განვითარების პროცესს.

კითხვის უნარების განვითარების მიზნით მასწავლებელი უნდა დააკვირდეს თითოეულ მოსწავლეს სწავლების ყველა ეტაპზე და გამოავლინოს,ზემოთ ჩამოთვლილიდან რომელ კომპონენტში სჭირდება მას განსაკუთრებული დახმარება. სწორედ ამაზე უნდა იყოს დამოკიდებული, გაკვეთილზე რომელ კომპონენტებზე გაამახვილებს ყურადღებას მასწავლებელი. ზოგიერთ მოსწავლეს შესაძლოა ყველა ამ კომპონენტში სჭირდებოდეს დახმარება, ზოგს კი მხოლოდ მოტივაციის პრობლემა უშლიდეს ხელს სწავლაში. არიან მოსწავლეები, რომლებიც უშეცდომოდ კითხულობენ, მაგრამ ვერ ახერხებენ წაკითხულის გააზრებას, რისი მიზეზიც შეიძლება ლექსიკის გაგების უნარის ნაკლებობაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია ასეთი მოსწავლეების ცალკე ჯგუფად გამოყოფა. სასურველია, კითხვაში ჩამორჩენილი მოსწავლეები მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი ჯგუფურ აქტივობებში, ხოლო განსაკუთრებული ინტერვენციის საჭიროების შემთხვევაში, სასარგებლო იქნება მათთან ინდივიდუალური მუშაობაც.

წარმოდგენილ წიგნში განვიხილავთ კითხვის აქ ჩამოთვლილ თითოეულ კომპონენტს, ვისაუბრებთ წარმატებული და ჩამორჩენილი მკითხველების ძირითად მახასიათებლებზე თითოეული ამ კომპონენტის მიხედვით და შემოგთავაზებთ შესაბამის მეთოდურ რეკომენდაციებს.სიტყვების შეუფერხებლად წაკითხვა და თავისუფლად კითხვა კითხვის ფუნდამენტური უნარებია და, ბუნებრივია, ისინი ჩვენი განხილვის საგანი იქნება,მაგრამ შევეცდებით შედარებით ვრცლად ვისაუბროთ წარმატებული კითხვისთვის საჭირო უფრო რთულ და კომპლექსურ სააზროვნო უნარებზე, ანუ ბოლო სამ კომპონენტზე - ლექსიკის დაუფლებაზე, წაკითხულის გააზრებასა და მოტივაციაზე.

ამასთანავე, წერა-კითხვაში შედარებით ჩამორჩენილ მოსწავლეებთან სამუშაოდ ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შევქმენით მისაღწევი შედეგების ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებს წიგნიერების ფუნდამენტური, საბაზისო უნარების განვითარებას. ვფიქრობთ, ეს ჩარჩო, ჩამოთვლილ ხუთ კომპონენტთან ერთად, გარკვეულ მეგზურობს გაუწევს მასწავლებელს სასწავლო პროცესში.

მისაღწევი შედეგების ჩარჩო

მიმართულება: კითხვა

კითხვის მიმართულებაში გამოვყავით ოთხი ძირითადი სასწავლო მიზანი:

1. კითხვისტექნიკის დახვეწა;
2. არამხატვრული (პრაგმატული, საინფორმაციო, შემეცნებითი) ტექსტების გაგება-გააზრება;
3. მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება, შეფასება;
4. კითხვის სტრატეგიების დაუფლება.

1. კითხვის ტექნიკის დახვეწა	
	• სიტყვათა ჩამონათვალში თავისუფლად მოიძიებს მასწავლებლის მიერ წაკი-თხულ ნაცნობ და უცნობ სიტყვებს; • პოულობს და ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითი-თებულ ეპიზოდს ნაცნობ ტექსტში; • წაკითხვამდე გაიაზრებს ტექსტის შინაარსს; • ხმამაღლა გამართულად და გამომე-ტყველებით კითხულობს მცირე ზომის ტე-ქსტებს/შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტე-ქსტიდან, იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან; • ცდილობს დაიცვას შესაბამისი ინტონაცია სხვადასხვა მოდალობის წინადადების წარ-მოთქმის დროს.
2. არამხატვრული ტექსტების გაგება-გააზრება.	
2.1 მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემატიკის შემცველი სხვადასხვა სახის საინ-ფორმაციო და არამ-ხატვრული ტექსტების წაკითხვა, გაგება და გააზრება.	• ტექსტის მაორგანიზებელ ელემენტებზე დაკვირვებით ამოიცნობს და ასახელებს, რა ტიპის ინფორმაციაა მოცემული კონ-კრეტული სახის ტექსტში; • ტექსტის შესაბამის ნაწილში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას; • იგებს ტექსტის ზედაპირზე მოცემულ ფაქ-ტობრივ ინფორმაციას; • ამოკრებს ტექსტიდან კონკრეტულ ინფორ-მაციას; • აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნი-შნით; • აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტუ-რად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო და-სკვნები; • განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლე-ნებს / ფაქტებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს; • ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავში-რებს პირად გამოცდილებასთან და გამო-აქვს დასკვნები;

	• ამოიცნობს თემას; • გამოყოფს და ასახელებს ტექსტის მთავარ საკითხებს; • ტექსტის მთლიანი გააზრების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა.
3. მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება, შეფასება	
3.1. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახისა და ჟანრის თხრობითი/ლიტ-ერატურული ტექსტების (ზღაპრის, ნოველის, მოთხრობის, იგავ-არა-კის, წერილის, ნამდვილი ამბის...) დამოუკი-დებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება.	• ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში მოი-ძიებს მითითებულ სიტყვებს (მაგ., პერსო-ნაჟთა სახელებს, ცხოველს, სათა-მაშოს და სხვ.); • ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითი და სხვ.); • ასახელებს მოქმედ პირებს; • განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ად-გილს; • ამოიცნობს და ასახელებს დიალოგში მონა-წილეთა რაოდენობას; • განსაზღვრავს ტექსტში გადმოცემულ მოქმედებათა, მოვლენათა ქრონოლო-გიას; • ამოიცნობს მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედე-ბებს შორის არსებულ ლოგი-კურ და ქრო-ნოლოგიურ კავშირებს; • იმახსოვრებს და საკუთარი სიტყვებით გად-მოცემს ტექსტის/მისი ცალკეული მონაკვე-თის შინაარსს, გამოყოფს არსებით ინფორ-მაციას; • ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს; • აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედე-ბას, თვისებებს და დაკვირვების საფუ-ძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განზრახვების, განცდების შე-სახებ; • ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.); • ამოიცნობს ნაწარმოების ძირითად თემას / იდეას; • ჯგუფის წევრებთან ერთად დგამს ნაწარ-მოებში ასახულ სცენებს.

3.2. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა; აქვს წაკითხული მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საწყისი უნარი.	• ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმე-დების მოტივს და აფასებს მათს საქციელს; • ახასიათებს პერსონაჟებს როგორც ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისე შინაარსის გააზრების საფუძველზე; • ასახელებს საყვარელ პერსონაჟს და ხსნის საკუთარ არჩევანს; • მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და გამოხატავს საკუთარ პოზიციას; • ასოციაციურად უკავშირებს ერთმანეთს მხატვრულ ამბავსა და რეალურ მოვლენას. • გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს; • წაკითხული ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილებით ქმნის ილუსტრაციებს; • მსჯელობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობილებაზე; • ასახელებს მისთვის ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველ ადგილებს.
4. კითხვის სტრატეგიების დაუფლება	
4.1. მოსწავლე ფლობს კითხვის ზოგიერთ სტრატეგიას და შეუძლია მათი მიზნობრივად გამოყენება	• სათაურზე ან ილუსტრაციებზედაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ; • სხვადასხვა საშუალებით (კონტექსტის გათვალისწინებით, კითხვის დასმით) ცდილობს უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობის გარკვევას; • იყენებს წიგნის სარჩევს, ტექსტის შემდეგ მოცემულ სიტყვათა განმარტებებს; • აკვირდება ტექსტის სტრუქტურასდა იყენებს მათ საყრდენებად კონკრეტული ინფორმაციის მოძიებისას; • კითხვისას წამოჭრილი სირთულეების დასაძლევად მიმართავს სხვადასხვა საშუალებას: თავიდან გადაიკითხავს რთულ ან მნიშვნელოვან ნაწილებს, აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს;უბრუნდება ტექსტის შესაბამის-/სათანადო მონაკვეთს საკითხების დასაზუსტებლად, პასუხის გასაცემად; • ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულთან დაკავშირებით.

მიმართულება: წერა

წერის მიმართულებაში გამოვყავით ხუთი ძირითადი სასწავლო მიზანი:

1. წერისტექნიკის დახვეწა;
2. სხვადასხვა სახისწერილობითი ტექსტების შექმნა;
3. თვითგამოხატვა და შემოქმედებითობა;
4. ენობრივი გამართულობა;
5. წერის სტრატეგიების დაუფლება.

1. წერის ტექნიკის დახვეწა	
1.1. მოსწავლეს შეუძლია წინადადებების გადაწერა და კარნახით წერა.	• ნაბეჭდი ფურცლიდან/დაფიდან გადაწერს სიტყვებს, წინადადებებს; • აქვს მკაფიო და ადვილად აღსაქმელი ხელწერა; • იცავს მანძილს ასოებს, სიტყვებს შორის; • სათანადოდ ანაწილებს ტექსტის სტრუქტურულ ერთეულებს საწერ სივრცეში; • კარნახით წერს სიტყვებსა და წინადადებებს; • დამოუკიდებლად იყენებს ძირითად სასვენ ნიშნებს (წერტილს, მძიმეს, კითხვის ნიშანს).
2. სხვადასხვა სახის წერილობითი ტექსტების შექმნა	
2.1. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტების მოდელირება და შექმნა.	• წერილობით პასუხობს მარტივ კითხვებს; • მოდელის მიხედვით ქმნის და აფორმებს სხვადასხვა სახის ყოფით ტექსტებს; • წერს მარტივ ინსტრუქციებს; • მოდელის მიხედვით აგებს და სათანადოდ აფორმებს მარტივ დიალოგებს; • სწერს წერილს მეგობრებსა და წარმოსახვით პერსონაჟებს; • სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნის საფუძველზე ქმნის მცირე ზომის თხზულებას (მაგ., „შემოდგომა“, „შინაური ცხოველები“ და სხვ.); • ტექსტის შედგენის დროს იყენებს ახლად შესწავლილ სიტყვებსა და ფრაზებს.

3. თვითგამოხატვა და შემოქმედებითობა	
3.1. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექ-სტების დამოუკიდებლად შექმნა; აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი და ავლენს თვითგამოხატვის სურვილს.	• ქმნის სხვადასხვა ჟანრის მცირე ზომის ტექსტებს (ზღაპარს, მოთხრობას, ლე-ქსს); • წერილობით გადმოსცემს წაკითხული ტექსტის შინაარსს; • გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ სხვადასხვა ფორ-მით (მაგ., მოკლე დახასიათების, გმირის საქციელზე გაკეთებული კომენტარის სახით და ა.შ.); • ავლენს ფაქტისადმი (მოვლენისადმი) სა-კუთარ დამოკიდებულებას; ახერხებს მის ემოციურ შეფასებას; • ქმნის მისთვის აზრობრივად საინტერესო ეპიზოდის გაგრძელების / ნაწარმოების განსხვავებული დასასრულის საკუთარ ვერსიას; • საკუთარი განცდის, შთაბეჭდილების გადმოსაცემად ირჩევს მისთვის სასურ-ველ მხატვრულ ფორმას; • მოკლედ წერს პირადი გამოცდილების შესახებ, აღწერს კონკრეტულ ფაქტს / მოვლენას საკუთარი ცხოვრებიდან; • თანამიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებ-სა და მოვლენებს; • ახასიათებს მისთვის ნაცნობ საგნებს და ადამიანებს.
4. ენობრივიგამართულობა	
4.1 მოსწავლეს შეუძლია გრამატიკული წესე-ბის მართებულად გამოყე-ნება, მართლწერისა და პუნქტუაციის ელემენ-ტარული წესების დაცვა ტექსტის შექმნისას.	• სწორად დამარცვლავს სიტყვებს და გადააქვს სტრიქონიდან სტრიქონზე; • იყენებს ზმნას სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით; • სათანადოდ იყენებს პირის, ჩვენებით და კითხვით ნაცვალსახელებს; • სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში, სწორად ათანხმებს რიცხვით და / ან ზედსართავ სახელსა და არსებით სახელს ბრუნვასა და რიცხვში; • სწორად არჩევს სახელის ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონ-სტრუქციების მიხედვით;

	• მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებიდან შეარჩევს მოცემული კონტექსტისთვის შესაფერის/მართებულ სიტყვას; • მართებულად ხმარობს სიტყვებს: თითოეული, ყველა, ზოგი (ზოგიერთი), რამდენიმე და სწორად უთანხმებს რიცხვში ზმნებს; • სწორად იყენებს კავშირებს (და, თუ, მაგრამ, ან); • მართებულად იყენებს თხრობით, ბრძანებით და კითხვით წინადადებებს და წინადადებების ბოლოს სვამს სათანადო სასვენ ნიშნებს. • სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, მძიმეს, ბრჭყალებს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს).
5. წერის სტრატეგიების დაუფლება	
5.1. მოსწავლე ფლობს წერის ზოგიერთ სტრატეგიას და შეუძლია მათი მიზნობრივად გამოყენება.	• თავს უყრის ინფორმაციას და ჩამოწერს საკითხებს, რომელთა შეტანაც უნდა ტექსტში; • შეადგენს წერითი დავალების მოკლე გეგმას; • უბრუნდება ნაწერს კორექტირებისთვის, ასწორებს მარტივი ტიპის შეცდომებს (ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში ასოს, სიტყვას, ფრაზას/წინადადებას); • აზრობრივი სრულყოფის მიზნით, დამატებით სვამს ტექსტში საჭირო სიტყვებსა და გამონათქვამებს; • გადაიკითხავს ნაწერს და ჩაასწორებს მას პუნქტუაციის თვალსაზრისით; • შედგენილ ტექსტს ადარებს მოდელს და, საჭიროებისამებრ, შეაქვს შესწორებები.

სიტყვების წაკითხვა

ჩვეულებრივ, მოსწავლეები, რომლებიც ძალიან ცუდად კითხულობენ, უჭირთ არა მხოლოდ ანაბანური პრინციპის გაგება, არამედ - შედარებით უფრო რთული ოპერაციების ჩატარება, მაგალითად: მრავალმარცვლიანი და/ან უცნობი სიტყვების დეკოდირება (გაშიფვრა), ნაცნობი სიტყვების ამოცნობა ერთი შეხედვით, ასევე სიტყვების მარტივი ანალიზი (მაგ., ნაცნობი ფუძის გამოყოფა სიტყვიდან).

სიტყვების წაკითხვა - ეს არის პროცესი, რომელიც გულისხმობს მკითხველის მხრიდან სიტყვების ფონოლოგიურად გადამუშავებას, ანუ სიტყვის გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად გარდაქმნას, ასევე თითოეული წასაკითხი სიტყვის შიგნით ასო-ბგერითი მიმართებების ცოდნას. რადგანაც სიტყვების წაკითხვაში გაწაფვა საგრძნობლად ეხმარება მოსწავლეს, სწრაფად და გაცნობიერებულად ამოიკითხოს ყოველი სიტყვა, ეს უნარი, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად ეხმარება მას წაკითხულის გააზრებაშიც. მაგალითად, თუკი მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურულ ნაწილებად დაშალოს სიტყვა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს სიტყვის ანალიზის უნარი, ესმის მისი შემადგენელი ნაწილების დანიშნულება და, სავარაუდოდ, - ამ სიტყვის მნიშვნელობაც. ეს კი მოსწავლეს ძალიან ეხმარება წაკითხული ტექსტის გააზრებაში. თუკი მოსწავლეს უჭირს სიტყვის წაკითხვა და მისი დეკოდირება, ნებისმიერ ასაკში აუცილებელია ჩარევა და მიზანმიმართული მუშაობა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ცხადია, სასწავლო მასალა, რომელიც სიტყვების წაკითხვაში სავარჯიშოდ შეიძლება გამოვიყენოთ, შესაძლებელია სხვადასხვა სირთულის იყოს და განკუთვნილი იყოს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის. მიუხედავად ამისა, სწავლების მიზანი უცვლელიადაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის.

სიტყვების წაკითხვაში დამატებითი ვარჯიშის შედეგად მოსწავლემ თავისუფლად და შეუფერხებლად უნდა შეძლოს სიტყვის დეკოდირება, დაეუფლოს სიტყვის ამოცნობისა და გაანალიზების სტრატეგიებს, შეძლოს ისეთი სიტყვების ამოკითხვაც, რომლებიც განსხვავდება და არ შეესაბამება მისთვის ნაცნობ სემანტიკურთუ

ორთოგრაფიულ ხატებს[1]. სიტყვის დეკოდირების სტრატეგიების სრულყოფილად ფლობა თავისუფლად კითხვის წინაპირობას წარმოადგენს.

კარგმა მკითხველმა იცის, რომ ყოველი ასო შეესაბამება კონკრეტულ ბგერას (კერძოდ, ქართულ ენაში) და ამ ბგერების ერთობლიობა სხვადასხვა კომბინაციით ქმნის იმ სიტყვებს, რომლებსაც ვკითხულობთ. მას შეუძლია კითხვის დროს ამ ცოდნის გამოყენება და მისი საშუალებით უცნობი ან რთული სიტყვების თავისუფლად დეკოდირებაც. კარგი მკითხველი კითხვის პროცესში მიმართავს სხვადასხვა სტრატეგიას სიტყვის სტრუქტურული ანალიზისთვის. სიტყვის სტრუქტურული ანალიზი ნიშნავს მის დაშლას უფრო მცირე, გარკვეული შინაარსისა და დანიშნულების მქონე ნაწილებად, რაც ეხმარება მოსწავლეს, უფრო ადვილად მოახერხოს სიტყვისდეკოდირება და მისი მნიშვნელობის გაგება. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოაჩენს წარმატებული და ჩამორჩენილი მკითხველების ზოგიერთ მახასიათებელს სიტყვების წაკითხვაში.

კარგი მკითხველი	ჩამორჩენილი მკითხველი
• კითხულობს მრავალმარცვლიან სიტყვებს და იყენებს სტრატეგიებს უცნობი სიტყვების ამოსაცნობად • სწრაფად და შეუფერხებლად ამყარებს კავშირს ასოებსა და შესაბამის ბგერებს შორის • კითხვის დროს უცნობ სიტყვებს შლის მარცვლებად • იყენებს სტრატეგიებს, რათა რთული ან გრძელი სიტყვები დაშალოს შინაარსობრივ ნაწილებად (მაგ., ჩამოაცილოს სიტყვის მაწარმოებელი აფიქსები[1], გამოყოს ფუძე, დაშალოს შედგენილი სიტყვები და ა.შ.)	• შეუძლია ერთ- ან ორმარცვლიანი, ასევე ღია მარცვლებისაგან შედგენილი სიტყვების შეუფერხებლადწაკითხვა, მაგრამ უჭირს გრძელი, მრავალმარცვლიანი სიტყვების დეკოდირება • ზოგჯერ უჭირს ასობგერითი მიმართებების დამყარება • ზოგჯერ უჭირს სიტყვების დაშლა მარცვლებად • უმეტესად არ იყენებს სიტყვის გასაანალიზებლად საჭირო სტრატეგიებს.

1 სიტყვის სემანტიკური ატი - სიტყვით გადმოცემული აზრი, მისი მნიშვნელობა; სიტყვის ორთოგრაფიული ატი - სიტყვის გრაფიკული გამო ატულება. სიტყვის ორთოგრაფიული ატის ცნობა გულის მობს მთლიანი სიტყვის ამოცნობას დამარცვლა-დანაწევრების გარეშე, ე.წ. პირდაპირი გზით. თუკი მოსწავლეს მე სიერებაში აქვს კონკრეტული სიტყვის ორთოგრაფიულ ატი, ანუ სიტყვის შემადგენელი ასოების მოწესრიგებული თანამიმდევრობა, იგი დანა ვისთანავე აკავშირებს ამ ატს სიტყვის მნიშვნელობასთან.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს სიტყვების წაკითხვა?

სიტყვების წაკითხვის სწავლება მჭიდროდ არის დაკავშირებული მართლწერისა და სიტყვების სტრუქტურული ანალიზის სწავლებასთან. მოსწავლეებთან, რომლებსაც უჭირთ სიტყვების სწრაფად და შეუფერხებლად წაკითხვა (დეკოდირება და გაგება), სასურველია, მასწავლებელმა ინტენსიურად იმუშაოს შემდეგი მიმართულებებით:

- ასწავლოს მათ, როგორ დაშალონ სიტყვა მარცვლებად (მოსწავლეები უნდა მიეჩვიონ სხვადასხვა ტიპის მარცვლების ამოცნობას, მაგ., სიტყვაში „დედა“ მათ უნდა გამოყონ ორი ღია მარცვალი - *დე*– და –*და*, სიტყვაში „ფესვი“ კი- ერთი დახურული და ერთ ღია მარცვალი:*ფეს*– და –*ვი*და ა.შ.);
- ავარჯიშოს ისინი გრძელი, მრავალმარცვლიანი სიტყვების წაკითხვაში (ამისთვის მასწავლებელს შეუძლია შერჩეულ სიტყვები ჯერ დააშლევინოს მოსწავლეებს მარცვლებად, შემდეგ გადაანაცვლებინოს ან ჩამოაშორებინოს სიტყვიდან ეს მარცვლები და სხვადასხვა კომბინაციით წააკითხოს თითოეული სიტყვა);
- ხშირად წააკითხოს მოსწავლეებს განსხვავებული, უჩვეულო ბგერითი შედგენილობის სიტყვები (ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი უცხო ენიდან შემოსული სიტყვა, ან ცნების თუ ტერმინის აღმნიშვნელი სიტყვები);
- ასწავლოს მათ სიტყვის დაშლა ცნობად ნაწილებად, სიტყვაში ფუძის გამოყოფის, მისი ძირითადი მაწარმოებლების და მათი ფუნქციის ამოცნობის ხერხები (მაგალითად, მოსწავლემ უნდა შეძლოს სამი სეგმენტის გამოყოფა სიტყვაში „გადანერგილი“: გადა-ნერგ-ილ(ი). მათ ამ სიტყვიდან უნდა შეძლონ ფუძის გამოყოფა - „ნერგი“, რომელსაც წინ ერთვის პრეფიქსი „გადა-“ (რომელიც დაკავშირებულია რაღაცის გადატანასთან), ბოლოში კი - სუფიქსი „-ილი(ი) (რაც მიანიშნებს წარსულში მომხდარ ფაქტზე);
- ასწავლოს და ავარჯიშოს მოსწავლეები სიტყვების შემადგენელ ნაწილებად დაშლასა და ამ ნაწილების გამოყენებთ ახალი (მაგრამ, ბუნებრივია, არსებული) სიტყვების შედგენაში;
- ასწავლოს მათ, როდის და როგორ გამოიყენონ სიტყვის სტრუქტურული ანალიზის ცოდნა მათთვის უცნობი და/ან რთული სიტყვების წასაკითხად (გასაშიფრად);

კითხვის სწავლების პროცესში მართლაც სასარგებლოა სიტყვების სწავლებაზე ორიენტირებული აქტივობების დაგაგემვა, რასაცმასწავლებელმა სათანადო დრო უნდა დაუთმოს გაკვეთილებზე, თუმცა ასეთი აქტივობების ხანგრძლივობა, სასურველია, არ აღემატებოდეს 10-15 წუთს, ხოლო ახალი, ანუ მოსწავლისთვის უცნობი სიტყვების რაოდენობა 5-10 სიტყვით უნდა შემოიფარგლებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტყვების სწავლება მხოლოდ ხანგრძლივ და მოსაწყენ საქმიანობად იქცევა.

თავისუფლად კითხვა

კარგი მკითხველის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი- თავისუფლად კითხვაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მკითხველი ავტომატურად შიფრავს და კითხულობს სიტყვებს, აჯგუფებს ან განაცალკევებს მათ ისე, რომ გაუადვილდეს მთლიანი წინადადებისა თუ ტექსტის გაგება. თავისუფლად კითხვა ძალიან მნიშვნელოვანი უნარია. მკითხველი, რომელიც ფლობს ამ უნარს, შეუძლია სიტყვები- წაიკითხოს ავტომატურად, ერთი შეხედვით (და არა დეკოდირების, იგივე გაშიფვრის გზით)[2] და, ამდენად, აქვს საშუალება, მეტი დრო და ძალისხმევა დაუთმოს იმის გაგებას, რასაც კითხულობს. იმისათვის, რომ მოსწავლემ თანდათანობით გაზარდოს ისეთი სიტყვების რაოდენობა, რომელთა წაკითხვაც მას ერთი შეხედვით, ანუ დეკოდირების გარეშე შეუძლია, და შესაბამისად, შეძლოს თავისუფლად კითხვა, მან უნდა იკითხოს რაც შეიძლება ხშირად და რაც შეიძლება ბევრი. სწორედ აქ იჩენს თავს პრობლემა, რომელიც ჩამორჩენილ მკითხველებს აქვთ - ისინი ცოტას და იშვიათად კითხულობენ.

ბუნებრივია, თავისუფლად კითხვა ავტომატურად არ გულისხმობს იმას, რომ მკითხველს გაიაზრებს წაკითხულს, მაგრამ ამ უნარის გამომუშავება წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობას წარმოადგენს.

კითხვაში ჩამორჩენილი მოზრდილი მოსწავლეების დიდი ნაწილს არ შეუძლია თავისუფლად კითხვა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი შეიძლება უშეცდომოდ კითხულობდეს ცალკეულ სიტყვებს. ტექსტის ავტომატურად და სწორად წაკითხვის უნარი ხელს უწყობს წაკითხულის გაგებას და, ამდენად, კითხვის სხვა ასევე მნიშვნელოვანი უნარების გამომუშავებასთან ერთად აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ინტენსიურად ავარჯიშოს კითხვაში ის მოსწავლეები, რომლებიც ნელა და შეფერხებებით კითხულობენ. მათ უნდა მიეცეთ საშუალება, ხმამაღლა იკითხონ რაც შეიძლება ბევრი და მიიღონ უკუგება მათზე უფრო განაფული მკითხველისაგან, იქნება ეს თანაკლასელი თუ მასწავლებელი.

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების შედეგების თანახმად, თავისუფლად კითხვაში ვარჯიში განსაკუთრებით სასარგებლოა

2 გაშიფვრა ანუ დეკოდირება – გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად კონვერტირება, ანუ ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან; ბგერების სიტყვად გამთლიანება, აკუსტიკური ხატის სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირება.

იმ მოზრდილი მოსწავლეებისთვის, რომლებიც მესამე ან უფრო დაბალი კლასების მოსწავლეთა დონეზე ფლობენ კითხვის ტექნიკას. გასათვალისწინებელია, რომ კითხვაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს ხშირად სწორედ თავისუფლად კითხვის პრობლემა აქვთ. სწორად და ავტომატურად კითხვის უნარი პირდაპირ კავშირშია სწავლასთან, კერძოდ წაკითხულის გააზრებასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზრდილი მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სხვადასხვა საგანში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად უწევთ უამრავი ტექსტის წაკითხვა და დასწავლა.

მოცემულ ცხრილი გვიჩვენებს, რა განსხვავებაა წარმატებულ და ჩამორჩენილ მკითხველებს შორის თავისუფლად კითხვაში:

კარგი მკითხველი	ჩამორჩენილი მკითხველი
• ტექსტის სირთულისა და ტიპის გათვალისწინებითკითხულობს დაახლ. 100-150 სიტყვას წუთში (საბაზო-საშუალო საფეხურზე) • ავტომატურად და სწორად ახერხებს სიტყვების დეკოდირებას • კითხვისას გააზრებულად აჯგუფებს სიტყვებს შინაარსობრივად • კითხულობს გამომეტყველებით • კითხვისას ერთდროულად ასრულებს რამდენიმე ამოცანას (მაგ., შიფრავს, აჯგუფებს სიტყვებს, იგებს შინაარსს, შეუძლია გარკვეული ინტერპრეტაციების გაკეთებაც)	• კითხულობს ნელა და დიდი ძალისხმევით • უჭირს ან ნელა ახერხებს სიტყვების სწორად დეკოდირებას • არ იცავს პაუზებს კითხვისას, არ ითვალისწინებს სასვენ ნიშნებს, არ აჯგუფებს სიტყვებს შინაარსობრივად • მის კითხვაში არ იგრძნობა ინტონაცია და ექსპრესიულობა • აკლია კითხვის სხვადასხვა უნარი, რაც მასხელს უშლის, წაიკითხოს თავისუფლად და გაიაზროს წაკითხული ტექსტი.

როგორ ვასწავლოთ თავისუფლად კითხვა?

თავისუფლად კითხვის უნარის დასაუფლებლად არსებობს ორი სახის ინტერვენცია: განმეორებითი ხმამაღალი კითხვა (ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა და მოსმენა) და მრავალფეროვანი, ურთიერთგანსხვავებული ტექსტების ერთჯერადად წაკითხვა (მოსწავლეები ინტენსიურადკითხულობენ სხვადასხვასახის რაც შეიძლება ბევრტექსტს). კითხვის სპეციალისტების ნაწილი ფიქრობს, რომ განმეორებითი კითხვის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები

ნამდვილად სრულყოფენ თავისუფლად კითხვის უნარს, მაგრამ ისმის კითხვა: ისეთივე წარამატებით შეძლებენ თუ არა მოსწავლეები სხვა, მათთვის უცნობი ტექსტების წაკითხვასაც? სწორედ ამიტომ, ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ განმეორებითი კითხვა შეიძლება ნაკლებად შედეგიანი იყოს ჩამორჩენილი მოზრდილი მკითხველებისთვის, ვიდრე ბევრი და მრავალფეროვანი ტექსტების ერთჯერადი კითხვა იმავე იტენსივობით. არსებობს მოსაზრება, რომ ერთჯერადი კითხვის მეთოდის სისტემატური გამოყენება საგრძნობლად უწყობს ხელს უცნობი და ურთიერთგანსხვავებული ტექსტების კითხვაში გაწაფვას, კერძოდ: სწრაფად კითხვის, სიტყვების ამოცნობისა და წაკითხულის გააზრების უნარების განვითარებას. თუმცა, ისიცუნდა ითქვას, რომ კვლევა, რომელიც ამ ორი მეთოდის - განმეორებითი და ერთჯერადი კითხვის მეთოდების - შედარებითი ანალიზის შედეგებს მოგვცემდა, ჯერ არ ჩატარებულა. ჩვენი რეკომენდაციაა, მასწავლებლებმა ორივე სახის ინტერვენცია გამოიყენონ და დააკვირდნენ მოსწავლეთა კითხვის უნარების განვითარებას.

რეკომენდაციები:

- ერთი და იმავე ტექსტის განმეორებითი კითხვა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, გაზარდოს იმ სიტყვების რაოდენობა, რომელთა წაკითხვასაც ის ავტომატურად, ერთი შეხედვით, ანუ დეკოდირების გარეშე შეძლებს; ასეთი სიტყვების რაოდენობის ზრდასთან ერთად კი იზრდება კითხვის სისწრაფეც, ანუ მოსწავლე სულ უფრო და უფრო თავისუფლად კითხულობს ტექსტს. სწორედ ამიტომ ითვლება, რომ კითხვაში ჩამორჩენილი მოსწავლეებისთვის შესაძლებელია სასარგებლო იყოს ერთი და იმავე ტექსტის განმეორებითი კითხვა, თუკი მოსწავლე ამასთანავე ახერხებს უკუგების მიღებას მასზე უფრო გაწაფული მკითხველისაგან.
- ეფექტური მეთოდია მრავალფეროვანი, განსხვავებული სახის ტექსტების ერთჯერადად წაკითხვა.ტექსტები არ უნდა იყოს გადატვირთული მოსწავლისათვის რთული და უცნობი სიტყვებით. ამ გზით მოსწავლეებიეცნობიან სხვადასხვა ტიპის ტექსტების ძირითად (სტრუქუტურულ თუ ენობრივ) მახასიათებლებს, საგრძნობლად იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს და შინაარსობრივიმრავალფეროვნების წყალობითიღებენ ბევრ

საინტერესო ინფორმაციასაც.

განმეორებითი კითხვის მეთოდის გამოყენება ორმაგად სასარგებლო იქნება მოსწავლეებისთვის, თუკი მასწავლებელი პარალელურად უკვე შესწავლილი ლექსიკის განმტკიცებაზეც იზრუნებს. იმისათვის, რომ მოსწავლემ დაიმახსოვროს ნასწავლი სიტყვების მნიშვნელობა, საჭიროა ამ ლექსიკასთან მაქსიმალურად ხშირი შეხება სხვადასხვა კონტექსტში. ამიტომ, სასურველია, თუმასწავლებელი ამ კრიტერიუმსაც გაითვალისწინებს საკითხავი მასალის შერჩევისას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთჯერადი კითხვა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გაეცნონ სხვადასხვა ტიპის ტექსტების სტრუქტურას, დაეუფლონ ახალ ლექსიკას და თუ დარგობრივ ტექსტებსაც[3] გამოვიყენებთ, ეს ხელს შეუწყობს მათი ცოდნისგაღრმავებასაც სხვადასხვა სასკოლო საგანში.

იმ მოსწავლეებთან სამუშაოდ, რომლებსაც შედარებით მძიმე პრობლემები აქვთ თავისუფლად კითხვაში, მასწავლებლებს ვთავაზობთ დამატებით რეკომენდაციებს:

- მასწავლებელმა პერიოდულად ხმამაღლა უნდა წაუკითხოს ტექსტი თავის მოსწავლეებს.
- ამ გზით მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს თავისუფლად კითხვის ნიმუშს. ამასთანავე, მან დრო და დრო უნდა აუხსნას კიდეც მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის ტექტების თავისუფლად კითხვის მარტივი ხერხები, მაგალითად, ურჩიოს, რომ შედარებით მონოტონური, დინჯი ინტონაცია შეეფერება მათემატიკური ტექსტის კითხვას, ხოლო მხატვრული ტექსტის კითხვისას მეტყველება და ინტონაცია უფრო დინამიური და გამომხატველობითი უნდა იყოს. ამ მიდგომის გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა ახალი საკითხავი მასალის შეთავაზებისას, სანამ მოსწავლეებს დაევალებათ მისი დამოუკიდებლად წაკითხვა. მასწავლებელს შეუძლია მხოლოდ ტექსტის დასაწყისი წაუკითხოს მოსწავლეებს, აჩვენოს მაგალითი და ამის შემდეგ სთხოვოს მათ კითხვის გაგრძელება.
- ხმამაღლა წაკითხვისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს და პირდაპირ აუხსნას მოსწავლეებს, როგორ

3 დარგობრივი ტექსტები - სხვადასხვა დარგის (დისციპლინის) შესასწავლად განკუთვნილი არამხატვრული ტექსტები, რომელთა წაკითხვაც სკოლის მოსწავლეებს, ძირითადად, უწევთ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების (მაგ., ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის და ა.შ.) შესასწავლად.

აისახება ზეპირმეტყველებაში წერილობით ტექსტში გამოყენებული სასვენი ნიშნები, კერძოდ, როდის და რამხელა პაუზა უნდა დაიცვან კითხვისას, სად უნდა აამაღლონ ხმა და სად - არა, როგორ გამოთქვან კითხვისა და ძახილის წინადადებები. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ინტონაციისა, მეტყველების რიტმისა და მახვილის თუნდაც მცირე გადანაცვლებასაც კი შეუძლია მთლიანად შეცვალოს წინადადების და, შესაბამისად, მთელი ეპიზოდის შინაარსი.

ლექსიკის დაუფლება

კითხვის სპეციალისტები აღიარებენ, რომ სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა პირდაპირ არის დაკავშირებული წაკითხულის გააზრების უნართან და, ზოგადად, მოსწავლის აკადემიურ წარმატებასთან. თუკი მოსწავლეს აქვს უნარი გაიგოს იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომლებსაც იგი ტექსტის კითხვისას აწყდება, შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია მისთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოსაცნობად, შეიძლება ითქვას, რომ იგი გააზრებულად კითხულობს და, სავარაუდოდ,საფუძვლიანად იგებს წაკითხული ტექსტის შინაარსს.

თუმცა ცნება „ლექსიკის დაუფლება“ გაცილებით ფართო შინაარსს იტევს, ვიდრე მხოლოდ სიტყვების მნიშვნელობის გაგებაა. იგი გულისხმობს სიტყვების მნიშვნელობის, მათი სემანტიკის გაცნობიერების, გათავისების უნარსაც, რაც ენობრივი ალღოს გამომუშავებას განაპირობებს. მოსწავლე სრულყოფილად ფლობს ლექსიკას, თუ იგი გრძნობს ნიუანსობრვ განსხვავებებს სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს შორის და შეუძლია ტექსტის მიზნის, მისი სტილური მახასიათებლების გათვალისწინებით გააკეთოს ენობრივი არჩევანი. ბუნებრივია, ასეთი ენობრივი ალღო დიდად ეხმარება მას წაკითხულის სრულფასოვნად გააზრებაშიც.

ცხადია, წარმატებული მკითხველი გაცილებით დიდ ლექსიკურ მარაგს ფლობს, ვიდრე - ჩამორჩენილი. ეს კი განპირობებულია ერთი მარტივი მიზეზით: წარმატებული მკითხველი ბევრს კითხულობს და, შესაბამისად, მეტი ახალი ლექსიკური ერთეულის შეთვისებას ახერხებს, ხოლო ჩამორჩენილი მკითხველი, პირიქით, ცოტას ან თითქმის არ კითხულობს, შესაბამისად, იგი ვერ ეუფლება კითხვისთვის საჭირო სტრატეგიებს, რაც პირდაპირ განაპირობებს მისი ლექსიკური მარაგის სიღარიბეს. ჩამორჩენილ მკითხველებს ხშირად არც ენობრივი ალღო გააჩნიათ, რაც ასევე ხელს უშლის მათ მკითხველად ჩამოყალიბებას.

გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილია ლექსიკის დაუფლებაში წარმატებული და ჩამორჩენილი მკითხველის ძირითადი მახასიათებლები:

კარგი მკითხველი	ჩამორჩენილი მკითხველი
• ადრეული ასაკიდანვე მდიდრდებოდა მისი ლექსიკური მარაგი როგორც ზეპირი მეტყველების, ისე წერილობითი ტექსტების წაკითხვის გზით სახლსა თუ სკოლაში. • აქვს ენობრივი ალღო. • ასაკის შესაბამისი ტექსტების კითხვისას იგებს სიტყვების უმეტესი ნაწილის (სულ მცირე 90%-ის) მნიშვნელობას, ასევე იყენებს კონტექსტურ თუ ენობრივ ცოდნას უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოსაცნობად. • იყენებს წინარე ცოდნას და ხვდება, თუ რა მნიშვნელობით შეიძლება იყოს გამოყენებული ესა თუ ის სიტყვა კონკრეტულ კონტექსტში.	• ადრეული ასაკიდანვე არ ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობა, გაემდიდრებინა საკუთარი ლექსკური მარაგი. • არ უყვარს კითხვა და ცდილობს არ დაკავდეს ამ საქმიანობით. • ნაკლებად აქვს განვითარებული ენობრივი ალღო. • ცუდად ესმის, რასაც კითხულობს და, შესაბამისად, ვერ ახერხებს წაკითხულის საფუძვლიანად გაგებისთვის საჭირო უცნობი სიტყვების იდენტიფიცირებას ტექსტში. • არ ფლობს საკმარის წინარე ცოდნას, რაც მას მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა ახალი სიტყვების მნიშვნელობის გაგებაში.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ლექსიკის დაუფლებაში?

ლექსიკის სწავლება შეიძლება დაიყოს სამ ძირითად მიმართულებად:

1) ცალკეული სიტყვების სწავლება პირდაპირი გზით;
2) სიტყვის გაგების სტრატეგიების სწავლება, რაც მოსწავლეს შემდგომში დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას მისცემს;
3) აკადემიური ლექსიკის სწავლება, რაც გულისხმობს როგორც ცალკეული სიტყვების, ისე სიტყვების გაგების სტრატეგიების სწავლებას სპეციფიკური დარგობრივი ტექსტების წასაკითხად.

ნებისმიერი მოსწავლისთვის სამივე მიმართულებაზე მუშაობა თანაბრად მნიშვნელოვანია ლექსიკის დაუფლების პროცესში.

ცალკეული სიტყვების სწავლება გულისხმობს პირდაპირი, ექსპლიციტური ანუ პირდაპირი სწავლების მეთოდის გამოყენებას. პირდაპირ სწავლებასთან ერთად აუცილებელია ცოდნის განმამტკიცებელი, პრაქტიკული სავარჯიშოების გამოყენებაც და შესაბამისი საკლასო, ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობების დაგეგ-

მვაც. სასურველია, რომ მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება, ახლად შესწავლილი სიტყვას გაეცნონ სხვადასხვა, შესაძლოა, ურთიერთ-განსხვავებულ კონტექსტში. ამასთანავე, უმნიშვნელოვანესია, რომ მოსწავლემ შეძლოს თითოეული სიტყვის გაანალიზება გრამატიკულად (მაგ.,სიტყვის ფუძის გამოცალკევება, სუფიქსების გამოყოფა).

მაგალითად ავიღოთ სიტყვა „განაშენიანება“, რომლის ზუსტი მნიშვნელობა შესაძლოა ბევრმა მოსწავლემ არ იცოდეს. რა მეთოდები შეუძლია გამოიყენოს მასწავლებელმა ამ სიტყვის სასწავლებლად?

- ✓ უპირველესად მან პირდაპირ უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს სიტყვის განმარტება;
- ✓ შემდეგ წააკითხოს მოსწავლეებს სხვა ტექსტი, ან ნაწყვეტი (სასურველია, ორი მაინც), რომელშიც გვხვდება სიტყვა „განაშენიანება“;
- ✓ მას შეუძლია წარმართოს დისკუსია ამ სიტყვის გარშემო, ასევე თემაზე, რომელიც სიტყვა „განაშენიანებას“ უკავშირდება;
- ✓ მას შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს სწორი და მცდარი სიტუაციური მაგალითები, რაც დაეხმარებამათ კარგად დააკვირდნენ და გამოკვეთონ ამ სიტყვის მნიშვნელობა და მისი სემანტიკური დატვირთვა;
- ✓ დაგეგმოს აქტივობა მოსწავლეებთან ერთად: სიტყვიდანგამოყოფენ ფუძეს - „შენ“ და შეადგენენ სემანტიკურ რუკას, ჩამოწერენ რაც შეიძლება მეტ სიტყვას, რომლებიც ამ ფუძისგან წარმოდგება (მაგ., შენება, შენობა, გაშენება...).

მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების (ანუ ისეთი სიტყვებისა, რომელთაც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ) სწავლებისას მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ასეთი სიტყვების საფუძვლიანად გაცნობიერება. ამისათვის სასურველია მოსწავლეებისთვის ასეთი სიტყვის გამოყენების ბევრი მაგალითის (წინადადებების, ნაწყვეტების, მთლიანი ტექსტების და ა.შ.) შეთავაზება, რომლებშიც ეს სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობითაა ნახმარი და შესაძლებელია მეტყველების სხვადასხვა ნაწილსაც წარმოადგენს. მაგალითად, სიტყვა „ანგარიში“ სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ამასთანავე, იგი შეიძლება იყოს არსებითი სახელიც და ზმნის საწყისის ფორმაც, რაც ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მოცემულ კონტექსტში.

იმისთვის, რომ სიტყვების სწავლების პროცესი სახალისო იყოს, სასურველია, რომ მოსწავლეები არა მხოლოდ პასიური მსმენელების როლში იყვნენ, არამედ თავად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილენი. ამის მისაღწევად მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს შესაბამისი საკლასო აქტივობები. მაგალითად:

- ✓ მოსწავლეები დამოუკიდებლად, საკუთარი სიტყვებით ჩამოაყალიბებენ ახლად ნასწავლი სიტყვების განმარტებებს;
- ✓ მოსწავლეები ქმნიან ახალი სიტყვის სწორ და მცდარ (ნიუანსობრივი სხვაობით) განმარტებებს. ამის შემდეგაც იმართება ჯგუფური აქტივობა, რომლის შედეგადაც გამოვლინდება, რამდენად ზუსტად და საფუძვლიანად გაიაზრეს მოსწავლეებმა სიტყვის მნიშვნელობა;
- ✓ მოსწავლეები იგონებენ და თხზავენ ამბავს, რომელიც თემატურად უკავშირდება ახლად შესწავლილ სიტყვას;
- ✓ ხატავენ სურათებს, რომლებიც თემატურად უკავშირდება ახლად შესწავლილ სიტყვას;
- ✓ შემაჯამებელი აქტივობის სახით (როცა მოსწავლეებს უკვე ნასწავლი აქვთ გარკვეული რაოდენობა ახალი სიტყვებისა) შესაძლებელია დაიგეგმოს გუნდური თამაშები. მაგალითად, მოსწავლეები ირჩევენ სიტყვებს და თხზავენ გამოცანებს, იყენებენ მიმიკებსა და ჟესტიკულაციას ამოსაცნობს სიტყვაზე მისანიშნებლად და ა.შ.

სიტყვის გაგების სტრატეგიების სწავლებით მოსწავლეები კითხვისას უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობის უნარ-ჩვევებს იძენენ. ამ დროს ისინი ეყრდნობიან კონკრეტული სიტყვების მნიშვნელობისა და გარკვეულ გრამატიკულ (მაგალითად, სიტყვის მორფოლოგიური აგებულების) ცოდნას, და, რა თქმა უნდა, კონტექსტს. ამდენად, მასწავლებელმა სწორედ ამ ორი ძირითადი მიმართულებით უნდა ავარჯიშოს მოსწავლეები. ამისათვის, სასურველია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს წასაკითხად შეთავაზოს რაც შეიძლება მრავალფეროვანი ტექსტები როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით. რაც უფრო მეტს და მრავალფეროვან ტექსტებს წაიკითხავენ მოწავლეები, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევა მასწავლებელს, ამუშაოს ისინი სიტყვის გაგების სტრატეგიების დაუფლებაზე და, შესაბამისად, ლექსიკური ფონდის გამდიდრებაზე. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელს შეუძლია გამოიყ-

ენოს სხვადასხვა მეთოდი. ასეთებია, მაგალითად:

- ✓ ჯგუფური აქტივობები, სადაც მოსწავლეები ზეპირად განიხილავენ ტექსტში ამოკითხულ უცნობ სიტყვებს და ერთობლივად შეეცდებიანი მისი მნიშვნელობის ამოცნობას;
- ✓ სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობის შემდეგ სასურველია წახალისდეს მისი გამოყენება სასაუბრო ენაშიც. ამ მიზნით მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს სასაუბრო თემა (თემები). ზეპირდიალოგებში (საუბრებში) მოსწავლეები აქტიურად გამოიყენებენ ახლად გაგებულ სიტყვას როგორც უკვე ნაცნობ, ისე ახალ, განსხვავებულ კონტექსტებში.
- ✓ საყრდენი სიტყვის მეთოდის გამოყენება გულისხმობს ფონეტიკური და ვიზუალური მსგავსების დანახვას სიტყვებს შორის და მათ ერთმანეთთან დაკავშირებას, რაც ხშირად ეხმარება მოსწავლეს, გაიგოს და დაიმახსოვროს შესასწავლი სიტყვის მნიშვნელობა. მაგალითად, საყრდენი სიტყვა „გაფანტვა“ შეგვიძლია დავაკავშიროთ შესასწავლ სიტყვასთან „საფანტი“. მათ შორის აშკარაა ფონეტიკური და ვიზუალური მსგავსება, რადგან ისინი ერთი ფუძისაგან წარმოდგებიან, საფანტი კი არის ფიზიკური სხეული რომელიც გასროლისას ჰაერში იფანტება.
- ✓ მასწავლებელს პირდაპირ შეუძლია აჩვენოს მოსწავლეებს მაგალითები, თუ როგორ ხდება სიტყვიდან ფუძის, წინსართ-ბოლოსართისა და სხვადასხვა მაწარმოებლების გამოყოფა.

აკადემიური ლექსიკის სწავლებაში, ძირითადად, იგულისხმება იმ სპეციფიკური, დარგობრივი სიტყვების (ტერმინებისა და ცნებების) სწავლება, რომლებსაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნების სახელმძღვანელოებში ხვდებათ მოსწავლეებს, მაგალითად, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო საგნებში, მათემატიკაში და სხვ. აკადემიური ლექსიკის სწავლება მოიცავს როგორც ცალკეული სიტყვების პირდაპირი სწავლების, ისე სიტყვის გაგების სტრატეგიების სწავლების მეთოდების გამოყენებას.

მეცნიერები დღესაც დავობენ იმის შესახებ, ნიშნავს თუ არა სიტყვის მნიშვნელობის გაგება ამავე სიტყვით გადმოცემული ცნების გააზრებას. ბუნებრივია, ვერც ჩვენ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ლექსიკის გაგება ნიშნავს ამ ლექსიკით გადმოცემული ცნების კონცეპტუალური წვდომას, მაგრამ ცხადია, რომ ძირითადი ლექსიკური

ერთეულების მნიშვნელობის ცოდნა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ მოსწავლემ გაიგოს და გაიაზროს უცნობი ან რთული ცნებები, რომლებთან შეხებაც მათ აუცილებლად მოუწევთ სხვადასხვა საგნის შესწავლისას. შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე ეფექტური მიდგომა ამ მიზნის მისაღწევად:

- ✓ აკადემიური ლექსიკის სასწავლებლად მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს დარგობრივი ტექსტები, რომლებშიც გვხვდება ამ კონკრეტული ტექსტის გასაგებად არსებითი სპეციალური ტერმინოლოგია. მაგალითად, სიტყვა„რეგენერაცია“ ნაკლებად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში და, შესაბამისად, მის ცოდნას ჩვენთვის არ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა, მაგრამ ზოგიერთი ცოცხალი ორგანიზმის განსაკუთრებული უნარის - სხეულისა (ცხოველების შემთხვევაში) და ვეგეტატიური ნაწილების (მცენარეების შემთხვევაში) აღდგენის უნარის შესახებ ტექსტის შესასწავლად ამ სიტყვის ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.რა თქმა უნდა, ბიოლოგს გაცილებით ფართოდ და ამომწურავად ესმის ამ ცნების მნიშვნელობა, ვიდრე სკოლის მოსწავლეს. ზოგადად, დარგობრივი ლექსიკის ღრმად და საფუძვლიანად გასაგებად, რა თქმა უნდა, სასურველია, რომ მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება, ერთი და იგივე სიტყვა (ტერმინი) რამდენეჯერმე და სხვადასხვა კონტექსტში წაიკითხონ.
- ✓ სასურველია, რომ მასწავლებელმა წინასწარ შეაფასოს, იციან თუ არა მოსწავლეებმა დარგობრივი ტექსტის წასაკითხად საჭირო სიტყვების მნიშვნელობა და განსაზღვროს, რაში სჭირდებათ მათ დახმარება. ამისათვის მან უნდა დაადგინოს: ა) შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს კონკრეტული სიტყვის განმარტება; ბ) შეუძლიათ თუ არა მათ ამ სიტყვის გამოყენება წინადადებაში; გ) შეუძლიათ თუ არა ამ სიტყვის სინონიმის ან/და ანტონიმის დასახელება.
- ✓ მასწავლებელს შეუძლია ასევე გამოიყენოს ლექსიკის პირდაპირი სწავლების მეთოდი და კითხვის დაწყებამდე მოკლედ განუმარტოს მათ ტექსტის გასაგებად აუცილებელი სიტყვები, მოიყვანოს შესაბამისი მაგალითები, შექმნას სემანტიკური რუკა, რომელშიც მოცემული იქნება შესასწავლ სიტყვასთან შინაარსობრივად დაკავშირებული სიტყვები. ითვლება, რომ ძირითადი სიტყვების

პირდაპირი (ექსპლიციტური) სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას და, შესაბამისად, წაკითხულის გააზრებას. ამ მეთოდის გამოყენება გამორჩეულად ეფექტურია განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან.

აქვე დამატებით შევთავაზებთ მასწავლებლებს რამდენიმე ზოგად რეკომენდაციას ლექსიკის სწავლებასთან დაკავშირებით:

- ლექსიკის დაუფლებაზე მუშაობას რეგულარული ხასიათი უნდა ჰქონდეს, რადაგან ეს პროცესი უწყვეტია და ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებითი კლასებიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით გრძელდება. კარგი იქნება, თუ გაკვეთილებზე ლექსიკურ სავარჯიშოებს ხშირად დაეთმობა 10-15 წუთი მაინც.
- არ არის სასურველი, რომ მოსწავლეებს ერთდროულად ბევრი ახალი სიტყვის დამახსოვრება მოსთხოვოს მასწავლებელმა. ეს ისეთივეკონტრპროდუქტიული იქნება, როგორც შემთხვევითი, კონტექსტს მოწყვეტილი სიტყვების სწავლება. ამიტომ,კვირის განმავლობაში 5-10 ახალ ლექსიკურ ერთეულზე მუშაობა, მათი გამეორება რამდენჯერმე და სხვადასხვა კონტექსტში გაცილებით შედეგის მომტანი იქნება, ვიდრე ერთდროულად 20 სიტყვაზე ვარჯიში. მათი უმეტესი ნაწილი მოსწავლეებს ერთ-ორ თვეში აღარც კი ემახსოვრებათ.
- მოსწავლეები უფრო გააცნობიერებენ და ადვილად დაიმახსოვრებენ სიტყვის მნიშვნელობას, თუ გაეცნობიან მის სინონიმებს, ანტონიმებს, მსგავსი ან დაკავშირებული მნიშვნელობის სხვა სიტყვებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება მრავალმნიშვნელობიან სიტყვებს, რომლებსაც მოსწავლეები სხვადასხვა კონტექსტში უნდა გაეცნონ (მაგ., რა მნიშვნელობით იხმარება სიტყვა „რეაქცია“ ქიმიაში და რა მნიშვნელობით გამოიყენება იგივე სიტყვა ყოველდღიურ მეტყველებაში). ამგვარი აქტივობები მოსწავლის ენობრივი ალღოს განვითარებას უწყობს ხელს.

წაკითხულის გააზრება

როგორც ცნობილია, ადამიანები სხვადასხვა მიზნით კითხულობენ. კითხვის მიზანი შეიძლება იყო რაიმეს შესწავლა დარგობრივი, საინფორმაციო ან მხატვრული ტექსტებიდან, სიამოვნების მიღება მხატვრული ლიტერატურის, ან თუნდაც ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით, ასევე ინფორმაციის მიღება, მაგალითად ბეჭდური პრესიდან, საენციკლოპედიო სტატიებიდან, ინსტრუქციებიდან და ა.შ.

რაიმეს დასასწავლად თუ ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია, რომ მკითხველმა ჰქონდეს უნარი, გააზრებულად წაიკითხოს ტექსტი და დაიმახსოვროს მისთვის საჭირო ინფორმაცია.რაც უფრო მაღალ კლასში გადადის მოსწავლე, მით უფრო მეტად სჭირდება მას ამ უნარების გამომუშავება. კარგი მკითხველი კითხვის პროცესში მუდმივად ცდილობს დაუკავშიროს და მიახმაროს წაკითხულს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება, რაც ასევე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს წაკითხულის სრულფასოვნად გააზრებას.

წარმატებული მკითხველი დაკვირვებით ადევნებს თვალყურს საკუთარ თავს კითხვის დროს, ანუ კითხვის პროცესშივე ამოწმებს, რამდენად კარგად გაიგო წაკითხული. თვითმონიტორინგი და საკუთარი თავისთვის კითხვების დასმა შესაძლებლობას აძლევს მას, მყისიერად დააფიქსიროს ყველა ის ადგილი ტექსტში, რომელიც ცუდად ან საერთოდ ვერ გაიგო და სწრაფადვე მიმართოს შესაბამის სტრატეგიებს ხარვეზის გამოსასწორებლად.კარგი მკითხველი ამ დროს, ჩვეულებრივ, ჩერდება, უბრუნდება და თავიდან კითხულობს მისთვის რთულად გასაგებ ადგილს ტექსტში.

კითხვაში ჩამორჩენილ მოსწავლეთა უმეტესობას კი სწორედ იმიტომ უჭირს წაკითხულის გააზრება, რომ არ იყენებს ამ ძალიან მარტივ სტრატეგიას. ასეთი მკითხველები კითხვის პროცესში არ აკვირდებიან და არ ამოწმებენ საკუთარ თავს, გაიგეს თუ არა წაკითხული ტექსტი, ვერ აფიქსირებენ, რა გაიგეს და რა - ვერა. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ ისინი არ ფლობენ ხარვეზების იდენტიფიცირებისა და მათი გამოსწორების უნარებს.

გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილია წაკითხული გააზრებაში წარმატებული და ჩამორჩენილი მკითხველების ძირითადი მახასიათებლები:

კარგი მკითხველი	ჩამორჩენილი მკითხველი
• აკვირდება საკუთარი კითხვის პროცესს, განვითარებული აქვს მეტაკოგნიტური უნარები. • განიხილავს ტექსტს როგორც ავტორის, ისე საკუთარი პოზიციიდან, კითხვის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ ამყარებს ინტერაქციას ტექსტთან. • აკავშირებს ტექსტში ამოკითხულს წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან. • ფლობს და იყენებს განსხვავებულ, მრავალფეროვან და ეფექტურ სტრატეგიებს კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და მისი დასრულების შემდეგ. • იცის, რა მიზნით კითხულობს ტექსტს და იყენებს შესაბამის სტრატეგიებს	• კითხვის დროს ვერ ახერხებს მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებას. • შესაძლებელია ვერ დააფიქსიროს ის ადგილები ტექსტში, რომლებიც ვერ გაიგო. • კითხვის პროცესში არ უსვამს კითხვებს საკუთარ თავს და არ ამყარებს ინტერაქციას ტექსტთან. • ხშირად არ გააჩნია საკმარისი წინარე ცოდნა იმისათვის, რომ გაიგოს წაკითხული. • ნაკლებად ან საერთოდ არ ფლობს კითხვის სტრატეგიებს; ან ვერ არჩევს სათანადო სტრატეგიებს. • კარგად არ იცის, რა მიზნით კითხულობს ტექსტს. • არ სიამოვნებს კითხვის პროცესი, ვერ აცნობიერებს, რაში სჭირდება ან რატომ არის სასარგებლო კითხვა.

როგორ ვასწავლოთ წაკითხულის გააზრება?

სანამ მოსწავლეები კითხვას დაიწყებდნენ, უპირველესად მასწავლებელმა საშუალება უნდა მისცეს მათ, რომ თვალი გადაავლონ წასაკითხ ტექსტს. ამ გზით მოსწავლეები გაეცნობიან ტექსტის ვიზუალურ მხარეს, მისსიგრძეს, სტრუქტურას, ყურადღებას მიაქცევენ სათაურსა და ქვესათაურებს, საკვანძო სიტყვებსა და ფრაზებს, რაც მათ გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის წასაკითხი მასალის შესახებ.

წინარე ცოდნის აქტივაცია

კითხვის დაწყებამდე მოსწავლეთა **წინარე ცოდნის აქტივაცია** და ამ სახით წასაკითხი ტექსტის ერთგავი „მოთელვა“ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს წაკითხულის გააზრებას. წინარე ცოდნა - ეს არის ინფორმაცია, რომელსაც ფლობს მოსწავლე იმ საკითხთან თუ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც ეხება ან შეიცავს წასაკითხი ტექსტი. ეს ცოდნა ერთგავრი ხიდია ნასწავლსა და შესასწავლს შო-

რის. ამიტომ, წინარე ცოდნის აქტივაციის საშუალებით მოსწავლე ახერხებს, დააკავშიროს არსებული ცოდნა შესასწავლ მასალასთან, რაც მნიშვნელოვნად ეხმარება მას ახალი ინფორმაციის გაგებასა და დამუშავებაში.

ჩამორჩენილ მოსწავლეების პრობლემა კი ხშირად სწორედ ის არის, რომ ისინი არ ფლობენ საკმარის წინარე ცოდნას და, შესაბამისად, ვერ აკავშირებენ ერთმანეთთან უკვე ნასწავლსა და შესასწავლს. შესაძლებელია ასევე, რომ ისინი ვერ ახერხებენ ადეკვატური ცოდნის აქტივაციას და ორ შეუსაბამო ინფორმაციას აკავშირებენ ერთმანეთთან, რაც კიდევ უფრო უშლის ხელს სწავლაში. ამ მიზნით მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი მეთოდები და მიდგომები:

- ✓ მასწავლებელი მოსწავლეთა წინარე ცოდნის გასააქტიურებლად იყენებს სათაურს, მოსწავლეებთან ერთად ეძებს საკვანძო სიტყვებს და საუბრობს მათ მნიშვნელობაზე, მოსწავლეებს სთავაზობს ვარაუდების ცხრილის შევსებას, ეკითხება მათ,თუ რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტი, რა შეიძლება იყოს მისი მთავარი თემა.მიუხედავად იმისა, რომ კითხვის ამ ეტაპზე მოსწავლეთა აქტიურობაა გადამწყვეტი, სასურველია, რომ მასწავლებელმა წინასწარ დაგეგმოს ამ ტიპის აქტივობები და მართოს ეს პროცესი, დააკვირდეს, სწორ შინაარსობრივ კავშირებს ამყარებენ მოსწავლეები თუ არა საკუთარ ცოდნასა და წასაკითხ ტექსტს შორის.
- ✓ კითხვის დასრულების შემდეგ სასურველია, რომ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად დაუბრუნდეს კითხვის დაწყებამდე ჩატარებულ აქტივობას და დაეხმაროს მათ, დაადასტურონ, ნაწილობრივ ან მთლიანად უარყონ გამოთქმული ვარაუდები, იმსჯელონ და შეაჯამონ წაკითხული.
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, თუკი მასწავლებლისთვის ცნობილია, რომ მოსწავლეები არ ფლობენ საკმარის წინარე ცოდნას, მასწავლებელმა თავად უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს ის აუცილებელი ინფორმაცია,რომელიც მათ წასაკითხის ტექსტის გაგებაში დაეხმარება. რომელიმე ისტორიული ხასიათის ტექსტის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია ესაუბროს მოსწავლეებს, მაგალითად, იმ ქვეყნების, ერების ან ტომების შესახებ, რომლებიც ნახსენებია მასში, მოკლედ მიმოიხილოს ისტორიული კონტექსტი, წინასწარ განუმარტოს მათ სპეციალური ტერმინები და ა.შ.

გრაფიკული მაორგანიზებლები

წაკითხულის გასააზრებლად სასარგებლოა ასევე **გრაფიკული მაორგანიზებლების** გამოყენება. გრაფიკული მაორგანიზებელი არის მარტივად და თვალსაჩინოდ წარმოდგენილი ტექსტის შინაარსი, რაც ეხმარება მოსწავლეს, ამოიცნოს, სისტემურად დაინახოს და დაიმახსოვროს ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც მას წაკითხულის დასამუშავებლად და გასააზრებლად სჭირდება. გრაფიკულ მაორგანიზებლებს განეკუთვნება:აზრობრივი რუკა, ვენის დიაგრამა, ამბის რუკა, ცნებათა რუკა, ქრონოლოგიური რუკა, ობობას ქსელი (იგივე აბლაბუდა) და მრავალი სხვ. (ნიმუშებისთვის იხ. დანართი 1).

გრაფიკული მაორგანიზებლების ეფექტურად და დროულად გამოყენებისათვის, სასურველია, რომ მასწავლებლებმა გაითვალისწინონ შემდეგი რჩევები:

- ✓ გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება სასარგებლოა კითხვის წინა ეტაპზე, რათა მოსწავლეები სათანადოდ მოემზადონ ტექსტის წასაკითხად, მიიღონ საჭირო ინფორმაცია წინასწარ, გაიხსენონ და თავი მოუყარონ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც მათ წაკითხულის სრულყოფილად გააზრებაში დაეხმარება, აგრეთვე, წინასწარ გამოთქვან თავიანთი ვარაუდები წასაკითხი ტექსტის მიზნის, დანიშნულების, თემისა და შინაარსის შესახებ.
- ✓ გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება საჭიროა კითხვის პროცესშიც, რადგან მოსწავლეები ვიზუალური თვალსაჩინოების საშუალებით უფრო ადვილად და სწრაფად დაინახავენ კავშირებს ტექსტში ასახულ მოვლენებს, ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის, გადმოცემული ამბის ან მოვლენების ქრონოლოგიას, აღმოაჩენენ და დაიმახსოვრებენ მნიშვნელოვან დეტალებს. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეს გაიგოს და გაიაზროს წაკითხული ტექსტი.
- ✓ სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ განსაკუთებით მისასალმებელია, თუკი მოსწავლეები თავად ისწავლიან თუნდაც უმარტივესი სახის გრაფიკული მაორგანიზებლების (სქემების, ორგანიზებული კომენტარების,ტექსტის გეგმის, სხვ.) გამოყენებას კითხვის პროცესში, რადგან ეს ეხმარება მას წაკითხულის სრულყოფილად გააზრებაში.
- ✓ ტექსტის წაკითხვის შემდეგ გრაფიკულ მაორგანიზებლებს იყენებენ მასში გადმოცემული ინფორმაციის შეჯამების მიზნით. მისი საშუალებით მოსწავლეები ახერხებენ ტექსტში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრას, ინფორმაციის კლასიფიკაციას სხვადასხვა ლოგიკური ნიშნით, ასევე მის დაკავშირებას რეალურ ცხოვრე-

ბასთან.

- ✓ იმისათვის, რომ გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება რეალურად შედეგისმომტანი იყოს, აუცილებელია მისი სწორად შერჩევა ტექსტის ტიპის მიხედვით. მაგალითად, მსგავსებებისა და განსხვავებების დიაგრამა უმჯობესია დარგობრივი ტექსტების (მაგ., ტექსტები საზოგადოებრივი ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სფეროდან) გასააზრებლად გამოვიყენოთ, ხოლო ამბის ქრონოლოგიის ამსახველი დიაგრამა, ბუნებრივია, ნარატიულ ტექსტებს უფრო შეესაბამება.

მეტაკოგნიცია

წაკითხულის გააზრების ხელშეწყობის მიზნით ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ საკუთარი **კითხვის პროცესის კონტროლი**. წაკითხულის გააზრებას დიდად შეუწყობს ხელს, თუკი მოსწავლე კითხვის დროს ყურადღებით დააკვირდება, რისი გაგება გაუჭირდა და მყისიერად გამოიყენებს შესაბამის სტრატეგიას ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. ამიტომ, სასურველია, რომ მასწავლებელმა დაარწმუნოს მოსწავლეების ამგვარი სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობაში და პირდაპირი გზით ასწავლოს, რა სტრატეგიები არსებობს საკუთარი კითხვის პროცესის გასაკონტროლებლად და რა შემთხვევაში რომელი სტრატეგიის გამოყენებაა მიზანშეწონილი კითხვის დროს წარმოქმნილი დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად.

- ✓ მოსწავლეები უნდა დაეუფლონ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ კითხვის დროს დაშვებული ხარვეზების იდენტიფიცირებას. ასეთი სტრატეგიებია, მაგალითად: ყველა უცნობი ან რთულად გასაგები ლექსიკური ერთეულის (სიტყვის, ფრაზეოლოგიის, ცნებისა თუ ტერმინის) დაფიქსირება; კითხვის პროცესში ტექსტში ასახული მოვლენების, ფაქტების წარმოსახვაში გაცოცხლება, ანუ ცოცხლად წარმოდგენა იმისა, რაც წერია ან რასაც მოგვითხრობს ავტორი; თითოეული აბზაცის ან შინაარსობრივად დასრულებული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მცირე პაუზის გაკეთება და წაკითხულის შეჯამება; საკუთარი თავისთვის კითხვების დასმა წაკითხულის შესახებ.
- ✓ მოსწავლეები უნდა დაეუფლონ კონკრეტულ სტრატეგიებს კითხვის დროს წარმოქმნილი ხარვეზების გამოსასწორებლად. ასეთი სტრატეგიებია, მაგალითად: უცნობი ან რთულად გასაგები ლექსიკური ერთეულების ამოსაცნობად კონტექსტის, გრამატიკული ცოდნის (ლინგვისტური ანალიზის უნარის) გამოყენება, საჭიროების შემთხ-

ვევაში კი ლექსიკონის ან სპეციალური ლიტერატურის მოძიება და გამოყენება; ხელახლა წაკითხვა გაუგებარი ან ძნელად გასაგები ადგილისა; წაკითხული ტექსტიდან გაუგებარი ან ძნელად გასაგები მონაკვეთის საკუთარი სიტყვებით ხმამაღლა გადმოცემა.

✓ თუკი კითხვის პროცესს მასწავლებელი უძღვება, მაშინ მას შეუძლია:
- დაუსვას მოსწავლეს ტექსტთან დაკავშირებული კითხვები როგორც კითხვის დაწყებამდე, ისე კითხვის პროცესში;
- კითხვის პროცესში პერიოდულად შეახსენოს მოსწავლეს, რომ დაფიქრდეს, გამართლდა თუ არა მის მიერ გამოთქმული ვარაუდები ტექსტის შინაარსისა და თემის/თემების შესახებ და მისცეს საშუალება, ისაუბროს ამაზე;
- აუცილებლად დაარწმუნოს თითოეული მოსწავლე, რომ დაბრკოლებების გამო ხელი კი არ უნდა აიღოს კითხვაზე, არამედ გააგრძელოს და შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით გადალახოს სირთულეები.

წაკითხულის შეჯამება

კითხვის მიზანი უპირველესად წაკითხულიდან აზრის გამოტანაა. ეს კი შეუძლებელია, თუკი მკითხველს არა აქვს უნარი, თავი მოუყაროს წაკითხულ ტექსტში მოცემულ მთელ ინფორმაციას, რომელიც ზოგჯერ შესაძლებელია საკმაოდ ტევადიც იყოს და დაიყვანოს იგი მხოლოდ ძირითად, ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტებამდე. სწორედ ეს არის **წაკითხულის შეჯამების უნარი**, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ტექსტის გააზრებას. ამ უნარის გამომუშავებას დროს სჭირდება. ამიტომ, აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ეტაპობრივად, სისტემური ვარჯიშისა და უკუგების გზით ასწავლოს თავის მოსწავლეებს, თუ როგორშეაჯამონ წაკითხული ტექსტი. ამ მიზნის მისაღწევად სასურველია, რომ

✓ მოსწავლეებს ჯერ ვასწავლოთ ტექსტის შედარებით მცირე მონაკვეთების (მაგალითად, ერთი აბზაცის ან შინაარსობრივად დასრულებული უფრო მცირე მონაკვეთის) შეჯამება. ამის შემდეგ კი ეტაპობრივად შეიძლება გაიზარდოს შესაჯამებელი მონაკვეთები მოცულობა.

✓ პირველ ეტაპზე გამოვიყენოთ პირდაპირი ინსტრუქციებისა და მოდელირების მეთოდი, მაგალითად:
- მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს ტექსტში ძირითადი წინადადების ამოცნობაში, ხოლო თუკი ტექსტში პირდაპირ არ არის მოცემული ასეთი წინადადება - მის შეთხზვაში;

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ერთმანეთთან შინაარსობრივად დაკავშირებული სიტყვები ჩაანაცვლონ ერთი სიტყვით (განმაზოგადებელი სიტყვით);
- მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, ერთმანეთისაგან გაარჩიონ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია, შემდეგ კი „მოაშორონ“ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაცია;

✓ ტექსტის შეჯამებაში მოსწავლეებს დიდ დახმარებას გაუწევს გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება.

კითხვების დასმა და კითხვებზე პასუხის გაცემა

წაკითხულის სრულყოფილად გასააზრებლად ასევე სასარგებლოა, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ **კითხვების დასმა** წაკითხულის შესახებ და, ამასთანავე, მასწავლებლის მიერ **დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა**. თუკი მოსწავლეები ისწავლიან, როგორ და რა სახის კითხვები დასვან კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და მისი დასრულების შემდეგ, ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ინტერესს ტექსტის მიმართ და საშუალებას მისცემს, უფრო ღრმად გაიაზრონ იგი. მართალია, მასწავლებლის მიერ კითხვების დასმა, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც მოსწავლეთა შეფასების საშუალება, მაგრამ ამ მეთოდით მოსწავლეები ასევე სწავლობენ, თუ როგორ და სად ეძებონ სწორი პასუხი კითხვაზე, რაც მათ ეხმარება წაკითხულის გააზრებაში. მოსწავლეებში კითხვების დასმისა და მათზე პასუხების გაცემის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს შემდეგი მიდგომები:

✓ ასწავლოს მოსწავლეებს, თავად დასვან და უპასუხონ სხვადასხვა სირთულის კითხვებს ტექსტის შესახებ, მათ შორის, ისეთებს რომლებზე პასუხებიც პირდაპირ (ექსპლიციტურად) არის მოცემული ტექსტში და ისეთ კითხვებსაც, რომლებზე პასუხის გაცემაც მოსწავლისაგან ქვეტექსტის აღქმასა და გარკვეული დასკვნების გაკეთებას მოითხოვს.

✓ ასწავლოს მოსწავლეებს სტრატეგიები, რომელთა საშუალებითაც ისინი წინასწარ განსაზღვრავენ კითხვების ტიპებს მათი გენერირების დროს და შეაფასებენ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების სირთულესაც იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვს მათგან ამ კითხვაზე პასუხის გაცემა - ექსპლიციტური ინფორმაციის მოძიებას, თუ ტექსტის უფრო ღრმად გააზრებას და მასში არაპირდაპირ (იმპლიციტურად) მოცემული ინფორმაციის გაგებას.

წაკითხულის შესახებ **დისკუსიის წარმართვა** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობაა წაკითხულის გასააზრებლად.

მოტივაცია

მოტივაცია წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. მოტივირებულმოსწავლეს კითხვის პროცესი სიამოვნებას ანიჭებს. ამიტომ იგი დროთა განმავლობაში სულ უფრო კარგად ეუფლება და თავისუფლად იყენებს კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს და, შესაბამისად, კარგად გაიაზრებს წაკითხულს. ცხადია, თუკი მოზარდს სიამოვნებს კითხვა, ის ბევრს კითხულობს კიდეც და მუდმივად იზრდება, როგორც მკითხველი.

ჩამორჩენილი მკითხველების პრობლემა კი სწორედ მოტივაციის ნაკლებობაა. ამის გამო მათ ნაკლებად აქვთ გამომუშავებული გააზრებული კითხვის უნარი, ვერ ფლობენ კითხვის ეფექტურ სტრატეგიებს, აქვთ მწირი ლექსიკური მარაგი, რაც ხელს უშლით მათ, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული ტექსტი. ყველაფერი ეს კი ხელს უშლის მათ, გაეცნონ დარგობრვ ტექსტებს, რაც იწვევს მათ აკადემიურ ჩამორჩენას ყველა სასკოლო საგანში. ჩამორჩენილი მკითხველები, ჩვეულებრივ, არც კლასგარეშე ლიტერატურას კითხულობენ სიამოვნებით. ცუდი მკითხველი კი, ცხადია, ვერ მიაღწევს წარმატებას საზოგადოებრივი ცხოვრების ვერცერთ სფეროში. ამიტომაც, აუცილებელია ეფექტური მეთოდებისა და გზების ძიება კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად მოზრდილ მოსწავლეებში.

თუკი მოსწავლე ორი, სამი ან მეტი წლით ჩამორჩება თავის თანატოლებს კითხვაში, ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ისინი წლების განმავლობაში გარიყულები იყვნენ სასწავლო პროცესიდან, ან საჭიროებდნენ მასწავლებლისა და მშობლის მეტ ყურადღებას, რის გამოც მათ თანდათანობით ინტერესი და მოტივაცია დაკარგეს სწავლის მიმართ. ასე რომ, მოზრდილ ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობისას მთავარი ამოცანა არის მათთვის არა მხოლოდ სისტემური სასწავლო კურსის შეთავაზება, არამედ მათი დახმარება, რომ დაუბრუნდეთ საკუთარი თავის რწმენა და შინაგანი მოტივაცია სწავლის მიმართ.

გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც აღწერილია წარმატებული და ჩამორჩენილი მკითხველების მახასიათებლები მათი კითხვისადმი დამოკიდებულების ჭრილში და ნაჩვენებია ისიც, თუ როგორ უწყობს ხელს კითხვის მოტივაცია კარგ მკითხველად ჩამოყალიბებას.

კარგი მკითხველი	ჩამორჩენილი მკითხველი
• კითხულობს ინტერესით და ამყარებს დიალოგს ტექსტთან. • ყურადღებით, გულისყურით კითხულობს და, შესაბამისად, კარგად გაიაზრებს წაკითხულს. • კითხულობს ბევრს და, შესაბამისად, აქვს განსხვავებული ტიპის ტექსტების კითხვის გამოცდილება, ასევე ფლობს საკმარის წინარე ცოდნას ახალი ტექსტის სრულფასოვნად გასააზრებლად. • კითხვა უღვივებს ინტერესს და ცდილობს, მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ წაიკითხოს და მიიღოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია.	• მისთვის კითხვა პასიური პროცესია, არ აქცევს ყურადღებას, რა ვერ გაიგო ტექსტში და, შესაბამისად, არ იყენებს წაკითხულის გასაგებად საჭირო სტრატეგიებს. • უმეტესად ცუდად ან საერთოდ ვერ იგებს წაკითხულს. • ცოტას კითხულობს და, შესაბამისად, არა აქვს განსხვავებული ტიპის ტექსტების კითხვის გამოცდილება. კითხვის მწირი გამოცდილების გამო არ აქვს წინარე ცოდნა, რომელიც მას წაკითხულის გააზრებაში დაეხმარება. • ძალიან შეზღუდული აქვს ან საერთოდ არა აქვს ინტერესების სფერო და, შესაბამისად, არ ცდილობს გაიღრმავოს ცოდნა.

როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია?

კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად კითხვის ზოგიერთი სპეციალისტი გამოყოფს ოთხ უმთავრეს მიდგომას. ესენია: 1) კითხვის მიზნის განსაზღვრამოსწავლეთა ინტერესების გათვალსიწინებით; 2) მოსწავლეთა არჩევანის პატივისცემა; 3) საინტერესო საკითხავი მასალის შერჩევა და 4) მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის (მოსწავლეთა სოციალიზაციის) წახალისება.

კითხვის სხვადასხვა კომპონენტის სწავლების დროს გამოყენებული მიდგომებისგან განსხვავებით, მოტივაციის ამაღლება არ გულისხმობს პირდაპირი სწავლების მეთოდის გამოყენებას. ეს არის კითხვის სწავლების თანამდევი პროცესი. მოტივაციის ამაღლებაზე მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს კითხვის ნებისმიერი აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს.

1) კითხვის მიზნის განსაზღვრამოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებელმა უნდა გაითვალისიწინოს, რომ საკითხავი მასალის შერჩევისას მისი ძირითადი მიზანი უნდა იყოს არა კონკრეტული სკითხავი ამოცანების გადაწყვეტა და დავალებების სწორად შესრულება, არამედ თავად ტექსტის შინაარსობრივი მხარე. მოსწავლე უფრო ყურადღებით წაიკითხავს ტექსტს, თუ იგი ეხება

მისთვის საინტერესო თემას, რომლის გაგებაც მას შეუძლია. თუ მისთვის კითხვა მხოლოდ ვალდებულებაადა მისი მიზანი მხოლოდ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული დავალებებისა და სავარჯიშოების შესრულებაა, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში მოსწავლის შინაგანი მოტივაცია საგრძნობლად კლებულობს. კითხვის პროცესს უპირატესად საგანმანათლებლო, შემეცნებითი მიზანი უნდა ჰქონდეს.

2) მოსწავლეთა არჩევანის პატივისცემა. თუკი მოსწავლეს საშუალება მიეცემა, მონაწილეობა მიიღოს საკითხავი მასალის შერჩევაში, თავად აირჩიოს საკუთარი როლი ჯგუფურ თუ წყვილურ აქტივობებში, აუცილებლად გაიზრდება მისი მოტივაციაც. მოსწავლე, რომელიც თვითონ ირჩევს, რა წაიკითხოს, უფრო მეტი ინტერესით კითხულობს და უფრო ეფექტურად იყენებს კითხვის სტრატეგიებს წაკითხულის გასააზრებლად. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გაითვალისწინებს მოსწავლის ზოგიერთ სურვილსაც, მაგალითად, რომელ თანაკლასელთან ერთად უნდა მას ამა თუ იმ აქტივობაში მონაწილეობა ან დავალების შესრულება, ინდივიდუალურად სურს მუშაობა თუ ჯგუფურად ან პარტნიორთან ერთად, რა ტიპის პროდუქტი სურს, რომ შექმნას წაკითხულ ტექსტთან დაკავშირებით (მაგ., თხზულება, ჩანახატი თუ პოსტერი) და ა.შ.

3) საინტერესო საკითხავი მასალის შერჩევა. მოსწავლეებს ეხალისებათ ისეთი ტექსტების კითხვა, რომლებიც მათ ინტერესს აღძრავს. ისინი უფრო ადვილად იმახსოვრებენ მათთვის საინტერესო ინფორმაციას, ვიდრე ისეთს, რომელიც მათი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს. სადავო არ არის, რომ რაც უფრო საინტერესოა ტექსტი, მით უფრო იზრდება მკითხველის მოტივაციაც და, შესაბამისად, წაკითხულის გააზრების ხარისხიც.

მოსწავლეს უთუოდ დააინტერესებს ტექსტი, რომელშიც განხილულ საკითხებზე თუ თემებზე მას გარკვეული წინარე ცოდნა უკვე გააჩნია. ის, რომ მან იცის რაღაც ტექსტში მოცემული ინფორმაციის შესახებ, უკვე იწვევს მის ინტერესს. რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს, რომ სკოლა ის ადგილია, სადაც მოზარდმა ახალი ცოდნა უნდა მიიღოს და მოსწავლეებსაც ხშირად უწევთ მათთვის სრულიად უცნობი ინფორმაციის შემცველი ტექსტების წაკითხვა და შესწავლაც. ჩვენ ვამბობთ არა იმას, რომ მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს ახალი მასალის კლასში შეტანას, არამედ უფრო ვურჩევთ მათ, სიფრთხილით მოეკიდონ ამ საკითხს და ტექსტის შერჩევისას გაითვალისწინონ, რომ კითხვისას მოტივაციის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. სრულიად უცნობი თემების შეთავაზებამ კი შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს მოსწავლეთა მოტივაციაზე. ეს, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ

უსვამს ხაზს კითხვის დაწყებამდე მოსწავლეთა წინარე ცოდნის მობილიზების მნიშვნელობასა და, საჭიროების შემთხვევაში, იმ თემებისა და საკითხების შესახებ, რომლებსაც წასაკითხი ტექსტი შეიცავს გარკვეული ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობასაც.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოც ისიც, რომ მოსწავლეები მეტი ინტერესით კითხულობენ ვიზუალურად მიმზიდველ ტექსტებს. ამიტომ, საკითხავი მასალის შერჩევისას მან ყურადღება უნდა მიაქციოს ილუსტრაციებისა და თვალსაჩინოებების ხარისხს, შრიფტის ზომას, ასევე იმას, თუ როგორ არის ტექსტი განაწილებული გვერდზე და ა.შ.

ცხადია, არ არსებობს უნივერსალური საზომი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ, რომელი ტექსტი იქნება ყველა მოსწავლისათვის ერთნაირად საინტერესო და რომელი - არა. ეს საკმაოდ ინდივიდუალური საკითხია. ამიტომ, სასურველია, თუ მასწავლებელს წინასწარ ექნება გარკვეული ინფორმაცია საკუთარი მოსწავლეების ინტერესების სფეროების შესახებ და ამის მიხედვით შეარჩევს საკითხავი მასალას.

4) მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის წახალისება. როგორც ცნობილია, მოზრდილ მოსწავლეებს განსაკუთრებით აინტერესებთ ერთმანეთთან ურთიერთობა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი ხდებიან სწავლაში და ხშირად გაკვეთილის დასრულების შემდეგაც კი აგრძელებენ მუშაობას, თუკი მათ მივცემთ საშუალებას, დაამყარონ ერთმანეთთან სოციალური ინტერაქცია და თანამშრომლობის გზით ერთობლივად გადაწყვიტონ სხვადასხვა სასწავლო (ჩვენს შემთხვევაში, საკითხავი) ამოცანები. ითვლება, რომ თანამშრომლობით სწავლის მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა ჩამორჩენილი მოსწავლეებისთვის. თუკი ასეთ მოსწავლეებს ხშირად მიეცემათ საშუალება, მაგალითად, წყვილში იმუშაონ სწავლაში მათზე უფრო წარმატებულ თანაკლასელთან ერთად, ისინი, სავარაუდოდ, უფრო ადვილად დაძლევენ სირთულეებს კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისას. ეს კი უთუოდ დადებით გავლენას მოახდენს მის მოტივაციაზე. ასე რომ, სოციალური ინტერაქცია არა მხოლოდ მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს, არამედ ეხმარება კიდეც ჩამორჩენილ მოსწავლეს, უკეთ გაიგოს და გაიაზროს წაკითხული.

სასურველია, რომ მასწავლებელმა ხშირად დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთად წაიკითხავენ ტექსტს, გაუზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას, შეხედულებებსა და მოსაზრებებს, დაეხმარებიან ერთმანეთს რთული ადგილების გაგებაში და ა.შ.

დანართი 1. სანიმუშო საკლასო აქტივობები

სანიმუშოდ გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილია ნაწილი იმ საკლასო აქტივობების ჩამონათვალისა, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს წიგნიერების უნარების განვითარებას მოსწავლეებში. ცხრილს თან ერთვის თითოეული დასახელებული აქტივობისა თუ მეთოდის დეტალური აღწერილობანი და თვალსაჩინოებანი.

	მიმართულება		
	ლექსიკის დაუფლება	წაკითხულის გააზრება	წერა
კითხვის დაწყებამდე			
ვარაუდების ცხრილი	o	•	o
თანამშრომლობითი სტრატეგიული კითხვის „ქრონიკა“	o	•	o
ცნებათა კლასიფიკაცია	•	•	o
პირველი სტრიქონი	o	•	o
სიტყვის რუკა	•	o	o
ჩამოთვალე, დააჯგუფე, დაარქვი სახელი	•	o	o
მოისმინე, წაიკითხე და იმსჯელე	o	•	o
სწავლა მეწყვილესთან ერთად	•	•	•
შესაძლო წინადადებები	•	o	o
ხმამაღლა ფიქრი	o	•	o

კითხვის დროს			
იდეათა რუკა	o	•	o
ორმაგი ჩანაწერები	•	•	o
გამოკითხვისფურცელი	o	•	•
ყველაზე მნივნელოვანი ფაქტები	o	•	o
კითხვა წყვილებში	o	•	o
აბზაცის შეკუმშვა/ შემოკლება	o	•	•
მთავარი, ნაკლებად მთავარი და მეორეხ-არისხოვანი	o	•	•
კითხვის გზამკვლევი	o	•	o
ორმხრივი სწავლება	•	•	•
შერჩევითი მონიშვნა	•	•	o
სემანტიკური კავშირები	•	•	•
ამბის რუკა	o	•	•
SQ3R	o	•	o
ტექსტის სტრუქტურა	o	•	o
კითხვის შემდეგ			
კლასში დასატოვებელი ბარათები	o	•	o
ჩარჩოები	o	•	o
კითხვებიავტორს	o	•	o
კითხვა და პასუხი	o	•	o
შევაჯამოთ წაკითხული	o	•	o

აქტივობა: ვარაუდების ცხრილი

აქტივობა„ვარაუდების ცხრილი“გამოიყენება კითხვისწინა ეტაპზე მოსწავლეთა წინარე (უკვე არსებული) ცოდნის გასააქტიურებლად და ახალი თემებისა თუ საკითხების მიმართ მათი ინტერესის გასაღვივებლად. მოსწავლეები ფიქრობენ და თავიანთ წინასწარ დამოკიდებულებას გამოხატავენ ტექსტის ძირითადი საკითხების შესახებ ჩამოყალიბებული სხვადასხვა დებულების მიმართ - ეთანხმებიან ან უარყოფენ მათ. ამ მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლის დაინტერესებას ტექსტში წასაკითხ ტექსტში ასახული თემებისა და საკითხების მიმართ და ამგვარად ეხმარება მას კითხვის მიზნის განსაზღვრაში. კითხვის დასრულების შემდეგ შესაძლებელია მოსწავლეები მიუბრუნდნენ მათ მიერ შევსებულ ვარაუდების ცხრილს, გადაამოწმონ საკუთარი შეხედულებები და გარკვეული შესწორებები შეიტანონ მათში.

ვარაუდების ცხრილი, როგორც საკლასო აქტივობა, ხელსაყრელია იმ მხრივაც, რომ ამ დროს მასწავლებელი ახერხებს ყველა მოსწავლის აქტიურად ჩართვასსასწავლო პროცესში, საშუალებას აძლევს მათ, იფიქრონ და კრიტიკულად გაიაზრონ, სინამდვილეში რა იციან და რა ჰგონიათ, რომ იციან ამა თუ იმ საკითხის შესახებ და ეცადონ მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია. ეს არის ჯგუფური (საკლასო) აქტივობა, რომელიც კითხვის მიზანს უჩენს იმ მოსწავლეებსაც კი, რომლებიც თავდაპირველად შეიძლება სულაც არ იყვნენ დაინტერესებულნი მოცემული საკითხებით.

გთავაზობთ ვარაუდების ცხრილის ნიმუშს:

სახელი _____

საკითხი _____

ინსტუქცია: წაიკითხეთ ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებები. მარცხენა სვეტში აღნიშნეთ, ეთანხმებით (დიახ) თუ არ ეთანხმებით (არა) მათში გადმოცემულ ინფორმაციას/მოსაზრებას. დაფიქრდით, რატომ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ამ დებულებებს და მოემზადეთ თქვენი შეხედულებების გასაზიარებლად.

კითხვის დაწ-ყებამდე (ვეთანხმები / არ ვეთანხმები)	დებულება / კითხვა	კითხვის დას-რულების შემდეგ (ვეთანხმები / არ ვეთანხმები)
	1.	
	2.	
	3.	
	4.	
	5.	
	6.	
	7.	
	8.	
	9.	
	10.	

აქტივობის დაგეგმვა

აქტივობის „ვარაუდების ცხრილი“ დაგეგმვის სხვადასხვა გზა არსებობს, მაგრამ მათი უმეტესობა შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

1. მასწავლებელი განსაზღვრავს მთავარ თემებსა და საკითხებს საკითხავი მასალიდან.
2. მასწავლებელმა უნდა ივარაუდოს, დაახლოებით რა წარმოდგენა აქვთ მის მოსწავლეებს ამა თუ იმ თემის/საკითხის შესახებ.
3. ამ ვარაუდების გათვალისწინებით მასწავლებელმა უნდა ჩამოწ-ეროს ისეთი დებულებები/კითხვები, რომლებიც მოსწავლეთა წარმოდგენების პროვოცირებას შეუწყობს ხელს.
4. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაეთანხმონ ან არ დაეთანხ-მონ ცხრილში მოცემულ დებულებებს/კითხვებს.

კონკრეტული ნაბიჯები:

1. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეავსონ ვარაუდების ცხრილი. მათ შეუძლიათ იმუშაონ დამოუკიდებლად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში. მასწავლებელმა უნდა შეახსენოს მოსწავ-ლეებს, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ მათ მოუწევთ დის-

კუსიაში მონაწილეობა.

2. სამუშაოს დასრულების შემდეგ იმართება დისკუსია, რომლის დროსაც მოსწავლეები ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებებს - რატომ დაეთანხმნენ ან არ დაეთანხმნენ ვარაუდების ცხრილში მოცემულ დებულებებს. ამ პროცესში მასწავლებელი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების წახალისებას. ამიტომ, რაც შეიძლება ღრმად და დეტალურად უნდა მოსთხოვოს თითოეულ მოსწავლეს საკუთარი პოზიციის დასაბუთება.
3. ამის შემდეგ მოსწავლეებს უნდა დაევალოთ ტექსტის წაკითხვა და ცალ-ცალკე მონიშვნა ან ამოწერა ისეთი ადგილებისა, რომლებიც დაემთხვა მათ მიერ წინასწარ გამოთქმულ ვარაუდებს და რომლებიც მათგან მოითხოვს ამ ვარაუდების კრიტიკულად გადახედვას.
4. კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ დისკუსიის გამართვის საშუალება. მასწავლებელს შეუძლია, ჰკითხოს მოსწავლეებს, შეიცვალა თუ არა რომელიმე საკუთარი აზრი ცხრილში წარმოდგენილი დებულებების მიმართ და სთხოვოს მოიყვანონ ტექსტიდან მაგალითები, რომლებიც მათი პირველად პასუხებს ადასტურდებს ან, პირიქით, ეჭვქვეშ აყენებს.

აქტივობა: თანამშრომლობითი სტრატეგიული კითხვის „ქრონიკა“

თანამშრომლობითი სტრატეგიული კითხვა არის ტექნიკა, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გადაწყვიტონ მასწავლებლის მიერ მათთვის დასმული საკითხავი ამოცანები თანამშრომლობის გზით წაკითხულის უკეთ გასააზრებლად. თანამშრომლობითი სტრატეგიული კითხვის „ქრონიკის“ ფუნქციაა, დაეხმაროს მოსწავლეებს, ეტაპობრივად აღწერონ კითხვის პროცესი. ამ დროს ისინი საფუძვლიანად გაიაზრებენ, რას კითხულობენ, რა შეკითხვები უჩნდებათ კითხვის დროს, რა შეხედულებები უყალიბდებათ წაკითხულზე და ყოველივე ამას ჩაიწერენ. შერულებული სამუშაო კი კარგი საშუალებაა მასწავლებლისათვის როგორც შემდგომი აქტივობების გასაგეგმად, ისე, შეფასების საწარმოებლად.

გთავაზობთ თანამშრომლობითი სტრატეგიული კითხვის „ქრონიკის“ ნიმუშს:

სახელი _____

თემა _____

კითხვის დაწყებამდე	გონებრივი იერიში	ვარაუდი
კითხვის დროს	რა არის ტექსტის მთავარი თემა? რა საკითხებს (თემებს) ეხება ტექსტი?	
კითხვის დასრულების შემდეგ	რა კითხვები მაქვსწაკითხულის შესახებ?	რა გავიგე ახალი?

აქტივობის დაგეგმვა:

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს წასაკითხ ტექსტს და უხსნის მათ აქტივობის მიმდინარეობას.

კითხვის დაწყებამდე:

1. მასწავლებელმა უნდა დააჯგუფოს მოსწავლეები ისე, რომ თითოეულ ჯგუფში მოხვდნენ როგორც ჩამორჩენილი, ისე წარმატებული მკითხველებიც;
2. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, როგორ შეუძლია შეავსოს ეს ცხრილი (გააკეთოს წინასწარ მოუმზადებელი-ჩანაწერები ექსპრომტად, ჩაწეროს მოკლე ფრაზები, თუნდაც ჩახატოს გრაფიკული გამოსახულებები);
3. მოსწავლეებმა შესაბამის გრაფაში უნდა ჩაწერონ, რა იციან ტექსტის თემის შესახებ და გამოთქვან თავიანთი წინასწარი ვარაუდები.

კითხვის დროს მათ უნდა ჩაიწერონ, რა გაიგეს ტექსტის კითხვისას, რა არის მისი მთავარი თემა, კიდევ რა საკითხებს ეხება იგი, მოკლედ ყველა ძირითადი ინფორმაცია, რომელიც მიიღეს ტექსტის კითხვის პროცესში.

კითხვის დასრულების შემდეგ კი მოსწავლეები შეაჯამებენ ტექსტის შინაარსს, გაიაზრებენ, რა გაიგეს და რა კითხვები დარჩათ წაკითხულის ირგვლივ.

მასწავლებელმა კითხვის სამივე ეტაპზე უნდა აკონტროლოს ეს ჩანაწერები, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მოსწავლეებს კითხვებზე პასუხის გაცემაში და განუმარტოს გაუგებარი ან არასწორად გაგებული ადგილები.

აქტივობა: ცნებათა კლასიფიკაცია

ცნებათა კლასიფიკაცია - ეს საკლასო აქტივობა გამოიყენება მოსწავლეთათვის ახალი ლექსიკის სასწავლებლად. იგი განსაკუთრებით სასარგებლოა, თუკი საკითხავ მასალაში ჭარბად გვხვდება სპეციალური ლექსიკა.

მასწავლებელი საკითხავი მასალიდან შეარჩევს და აძლევს მოსწავლეებს ტერმინებისა და ცნებების ჩამონათვალს. მოსწავლეებმა კი მნიშვნელობის მიხედვით კატეგორიებად უნდა დაახარისხონ და დააჯგუფონ ისინი. ეს კატეგორიები უმჯობესია თავდაპირველად მასწავლებელმა შეთავაზოს მოსწავლეებს, დროთა განმავლობაში კი სასურველია, თა-

ვად მოსწავლეებმა შეძლონ ცნებათა გამაერთიანებელი კატეგორიების შექმნა. თუკი ამ აქტივობას მასწავლებელი კითხვის დაწყებამდე გამოიყენებს, ეს მას საშუალებას მისცემს, გაიგოს, აქვთ თუ არა რაიმე საბაზისო ცოდნა მოსწავლეებს წასაკითხი ტექსტის თემის შესახებ, რაც დაეხმარება მას სწავლების შემდგომი ეტაპების დაგეგმვაში. ტექსტის წაკითხვის შემდეგ გამოყენების შემთხვევაშიკი მასწავლებელი შეძლებს შეაფასოს, რამდენად კარგად გაიგეს მისმა მოსწავლეებმა ახლად შესწავლილი ცნებებისა და ტერმინების მნიშვნელობა.

აქტივობა შეიძლება დაიგეგმოს როგორც მთელ კლასთან, ისე მცირე ჯგუფებთან სამუშაოდ. ის შესაძლებელია იყოს ინდივიდუალურიც.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელი არჩევს საკითხავ მასალას მოსწავლეებისთვის;
2. შერჩეული ტექსტის საფუძველზე მასწავლებელი ამოიწერს თემასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ლექსიკას, ოღონდ ისე, რომ გაითვალისწინოს, რა კატეგორიებად შეიძლება დაიყოს ეს სიტყვები;
3. მასწავლებელი ბარათებზე წერს (ან ბეჭდავს) ამ ცნებებსა თუ ტერმინებს (თითო ბარათზე თითოს);
4. მასწავლებელი თავად სთავაზობს მოსწავლეებს სიტყვათა კატეგორიებს, ან ეხმარება მათ დაჯგუფებული სიტყვების სახელდებაში. შენიშვნა: ამ შემთხვევაში, სასურველია, თუ მასწავლებელი ჯერ აახსნევინებს მოსწავლეს, რატომ დააჯგუფა მან სიტყვები ასე და შემდეგ სთხოვოს განმაზოგადებელი სიტყვის მოფიქრება.

გთავაზობთ ცნებათა კლასიფიკაციის აქტივობის ნიმუშს:

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს წინასწარ შერჩეული ტერმინების ჩამონათვალს:

ფოთოლმცვენი	ფოთლები	წყალი	ქერქი
მარადმწვანე	ტყე	ყლორტები	მთები
მზის სინათლე	ნიადაგი	ფესვები	ტროპიკული ტყე

2. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მათ, დაალაგონ ეს სიტყვები კატეგორიების მიხედვით, მაგალითად:

- ხის ნაწილები;
- ხის ტიპები;
- სად იზრდება ხეები;
- რა სჭირდება ხეს, რომ იცოცხლოს.

აქტივობა: პირველისტრიქონი

„პირველი სტრიქონი“ არის საკლასო აქტივობა, რომელიც იგეგმება კითხვისწინა ეტაპზე. ამ დროს მოსწავლეები კითხულობენ წასაკითხი ტექსტის მხოლოდ პირველ ორ ან სამ წინადადებას (რაოდენობა, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია წინადადების სიგრძესა და შინაარსობრივ დატვირთულობაზე) და ცდილობენ ამოიცნონ, როგორ გაგრძელდება ტექსტი, ან როგორ განვითარდება მისი შინაარსი.

ეს აქტივობა მოითხოვს მოსწავლისაგან: ა) კითხვის დაწყებამდე ივარაუდოს, როგორ შეიძლება გაგრძელდეს ტექსტი და ბ) გაიხსენოს ყველაფერი, რაც იცის ტექსტის თემის შესახებ. გარდა იმისა, რომ მოსწავლე კითხვის პროცესის აქტიური მონაწილე ხდება. იგი ასევე ერთვება დისკუსიებშიც და, ამასთანავე, უვითარდება წერის უნარ-ჩვევებიც, რადგანაც მას უწევს საკუთარი ვარაუდების ორგანიზება და წერილობით წარმოდგენა. მოსწავლეთა მიერ გამოთქმული და წერილობით ჩამოყალიბებული ვარაუდების გაცნობა, ცხადია, დაეხმარება მასწავლებელს გაიგოს, რამდენად არიან მისი მოსწავლეები მზად ტექსტის აღსაქმელად და შესაბამისად დაგეგმოს მომდევნო ნაბიჯები.

აქტივობის დაგეგმვა:

მასწავლებელს შეუძლია წინასწარ მონიშნოს ან გადაღებული ასლებიდან ცალკე ამოჭრას წასაკითხი ტექსტის პირველი სტრიქონი და დაურიგოს მოსწავლეებს. მან კარგად უნდა აუხსნას მოსწავლეებს აქტივობის მიზანი და მისი მიმდინარეობა. მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ რვეულებში ან შეავსონ სპეციალურად ამ აქტივობისთვის მომზადებული ფორმა.

გთავაზობთ ნიმუშს:
სახელი _____

სათაური _____

პირველი სტრიქონი
ვარაუდი
დასაბუთება / ახსნა
შესწორებები

აქტივობის მიმდინარეობა:

1. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ პირველი წინადადებები / სტრიქონი ტექსტიდან;
2. ამის შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან თავიანთი ვარაუდები წასაკითხი ტექსტის შინაარსის შესახებ პირველი წინადადებების / სტრიქონის საფუძველზე;
3. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შეახსენოს მოსწავლეებს, რომ ამ დროს არ არსებობს „მცდარი“ და „სწორი“ მოსაზრებები, მაგრამ აუცილებელია, რომ გამოთქმული ვარაუდები ემყარებოდეს იმ ინფორმაციას, რომელსაც წაკითხული პირველი წინადადებები / სტრიქონი გვაწვდის;
4. თითოეული მოსწავლის მიერ გამოთქმული ვარაუდის შესახებ წარიმართება საკლასო დისკუსია;

5. აქტივობის მიმდინარეობისას მოსწავლეები ავსებენ წინასწარ სპეციალურად ამ აქტივობისთვის შექმნილ ცხრილს, ხოლო დისკუსიის დროს შეუძლიათ შეიტანონ მას გარკვეული შესწორებები ან დამატებები. მოსწავლეებმა შეიძლება იმუშაონ როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად;
6. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები, რა თქმა უნდა, მიუბრუნდებიან მათ მიერ შევსებულ ცხრილს, შეაფასებენ საკუთარ ნამუშევარს და შესაბამის გრაფაში წერენ თავიანთ კომენტარებს.

აქტივობა: სიტყვის რუკა

ეს არის ლექსიკის დაუფლება-გამდიდრებაზე ორიენტირებული საკლასო აქტივობა, რომლისთვისაც გამოიყენება გრაფიკული მაორგანიზებელი. ეს აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ამასთანავე, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, მობილიზება გაუკეთონ თავიან წინარე ცოდნას და დაინახონ სემანტიკური თუ კონცეპტუალური კავშირები მათთვის ნაცნობ და უცნობ ლექსიკურ ერთეულებს შორის.

ეს აქტივობა შეიძლება დაიგეგმოს როგორც მთელ კლასთან სამუშაოდ, ისე მცირე ჯგუფებთან და ცალკეულ მოსწავლეებთანაც.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელი აქტივობის დაწყებამდე წასაკითხი ტექსტიდან წინასწარ შეარჩევს სიტყვებისა და ცნებების ჩამონათვალს;
2. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს დასამუშავებელ ლექსიკას;
3. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ ტექსტი, რომელიც შეიცავს ამ ლექსიკას და აძლევს საშუალებას, ყურადღებით დაფიქრდნენ მათ შესაძლო მნიშვნელობაზე;
4. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ოთხნაწილიანი ცხრილის შევსებას. მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, თავად აირჩიონ დასამუშავებელი ლექსიკური ერთეულები;
5. სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული ნამუშევარი განიხილება მთელ კლასთან ერთად და მოსწავლეები მიდიან საერ-

თო დასკვნამდე თითეოულ სიტყვასთან თუ ცნებასთან დაკავშირებით. მასწავლებელმა, ბუნებრივია, უნდა აკონტროლოს ეს პროცესი და, საჭიროების შემთხვევაში, სწორი მიმართულება მისცეს დისკუსიას.

6. გთავაზობთ „სიტყვის რუკის“ გრაფიკული მაორგანიზებლის ნიმუშს:



აქტივობა: ჩამოთვალე, დაავჯგუფე, დაარქვი სახელი

ეს აქტივობა გამოიყენება ლექსიკაზე სამუშაოდ და მოსწავლეებისგან მოითხოვს სამეტაპიანი სასწავლო მოქმედების შესრულებას, ძირითადად, დარგობრივი (ანუ სხვადასხვა დისციპლინებთან დაკავშირებული) ლექსიკის, ცნებებისა და ტერმინების ორგანიზების მიზნით. იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, საკუთარი წინარე ცოდნის გამოყენებით ამოიცნონ სემანტიკური კავშირები სიტყვებსა და ცნებებს შორის. ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია კითხვის დაწყებამდეც და მისი დასრულების შემდეგაც.

ეს აქტივობა მრავალმხრივ სასარგებლოა მოსწავლეებისთვის.

ისინი აკვირდებიან თითოეული სიტყვისა თუ ცნების მნიშვნელობას, ეძებენ კავშირებსა და ურთიერთმიმართებებს მათ შორის, საუბრობენ ერთმანეთთან. მოსწავლეები ხალისით მონაწილეობენ ამ ტიპის აქტივობებში, რადგან ამ დროს ყოველი სიტყვა, ცნება თუ ტერმინი ცოცხლდება მათ წარმოსახვაში. ეს აქტივობა მოსწავლეებისგან კრიტიკულ აზროვნებას მოითხოვს და ამ გზით ისინი უფრო ადვილად იმახსოვრებენ ახალ ლექსიკურ ერთეულებსაც და მათთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც.

აქტივობის დაგეგმვა:

საკითხავი მასალიდან მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს საკვანძო ცნება, რის შემდეგაც:

1. იგი ავალებს მოსწავლეებს, იფიქრონ და გაიხსენონ ყველა ის სიტყვა, რომელიც, მათი აზრით, დაკავშირებულია ამ ცნებასთან. სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეების მიერ დასახელებული ყველა სიტყვა ჩამოწეროს დაფაზე. რეკომენდაცია: შესაძლებელია, ზოგიერთი დასახელებული სიტყვა სრულიად არარელევანტური იყოს, მაგრამ ამ ეტაპზე არ არის მიზანშეწონილი მათი პასუხების გაკრიტიკება. აქტივობის მომდევნო ეტაპზე, როდესაც ისინი დაიწყებენ სიტყვების დაჯგუფებას, თავადვე იტყვიან უარს შეუსაბამო სიტყვებზე.
2. მასწავლებელი ყოფს კლასს მცირე ჯგუფებად და ავალებს მათ, თანაკლასელების მიერ ჩამოთვლილი და დაფაზე ჩამოწერილი სიტყვებიდან შეარჩიონ ისეთები, რომლებიც, მათი აზრით, შინაარსობრივად (თემატურად) არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ხოლო შემდგომ მათგან მსგავსი (შინაარსობრივად ყველაზე ახლოს მდგომი) სიტყვებიდააჯგუფონ ქვეკატეგორიებად. სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელმა უნდა დაუსვას თითეოულ ჯგუფს კითხვები, თუ რატომ მოხვდა ესა თუ ის სიტყვა კონკრეტულ ქვეკატეგორიაში და არა სხვაგან, ან რატომ ამოვარდა რომელიმე სიტყვა საერთო ჩამონათვალიდან და ა.შ.
3. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ და შეურჩიონ სათაური / სახელწოდება მათ მიერ შექმნილ სიტყვათა თითოეულ ჯგუფს. ამ გზით ისინი დაასაბუთებენ კიდეც, თუ რატომ მოაქციეს ეს სიტყვები ერთ ჯგუფში.

გთავაზობთ სამუშაო ფურცლის ნიმუშს:

ინსტრუქცია: მარცხენა სვეტში ჩამოწერეთ ყველა ის სიტყვა, რომელიც, თქვენი აზრით, ერთ თემას უკავშირდება. როდესაც ჩამოწერთ მათ, დააჯგუფეთ ერთად მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები. ამის შემდეგ კი თითოეულ ჯგუფს დაარქვით სახელი.

სიტყვების ჩამონათვალი	სიტყვათა ჯგუფები	ჯგუფის სახელწოდება

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ აქტივობა „ჩამოთვალე, დააჯგუფე, დაარქვი სახელი“ იგეგმება და ტარდება კითხვის დაწყებამდე, მოსწავლეებს შეუძლიათ მიუბრუნდნენ თავიანთ ნამუშევრებს ტექსტის წკითხვისა და სათანადოდ დამუშავების შემდეგაც. მათ შეიძლება გაუჩნდეთ სურვილი, დაამატონ სიტყვები ჩამონათვალს ან გადაარქვან მათ მიერ შერჩეული სახელწოდება სიტყვათა რომელიმე ჯგუფს.

აქტივობა: მოისმინე, წაიკითხე და იმსჯელე

ეს აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ წაკითხულის გააზრებას ტექსტის წაკითხვამდე მის შესახებ ზეპირი ინფორმაციის მოსმენისა და წინარე ცოდნის გააქტიურების გზით. აქტივობის პირველ ეტაპზე მოსწავლეები ისმენენ მასწავლებლის ლექციის ტიპის მიმოხილვას ტექსტის შესახებ. ამის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ტექსტის კითხვას და ამ პროცესში მათ საშუალება ეძლევათ, შეადარონ ერთმანეთს მოსმენილი და წაკითხული ინფორმაცია, დააზუსტონ დეტალები და ამ გზით შეაფასონ, რამდენად კარგად შეუძლიათ მოსმენილისა და წაკითხულის გაგება-გააზრება. კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ თავიანთ დაკვირვებებზე.

ეს მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა კითხვაში ჩამორჩენილი მოსწავლეებისათვის.რადგანაც ასეთ მოსწავლეებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად წაიკითხონ და გაიგონ მთლიანი ტექსტი, მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეხმარება მათ, ზედაპირული წარმოდგენა მაინც შეექმნათ ამ მასალის შესახებ.იმ მოსწავლეებს კი, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი წინარე ცოდნა წასაკითხი ტექსტის გასაგებად, მოსმენით იღებენ ამ ინფორმაციას და ამ გზით უადვილდებათ კითხვის პროცესში წაკითხული გააზრება. სწორედ ამიტომ, სასურველია, რომ მასწავლებელმა ამ აქტივობისთვის შეარჩიოს ისეთი ტექსტი, რომლის შესახებაც, მისი აზრით, მოსწავლეებს არა აქვთ საკმარისი წინარე ცოდნა და დამატებითი ინფორმაცია დაეხმარება მათ წაკითხულის გასააზრებლად.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მოსმენა: მასწავლებელი ატარებს მიმოხილვითი ხასიათის მოკლე ლექციას წასაკითხი ტექსტის შინაარსის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სასურველია სხვადასხვა თვალსაჩინოების და/ან გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენებაც;
2. კითხვა: მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ შეთავაზებულ ტექსტს. მასწავლებელმა წინასწარ უნდა გააფრთხილოს მოსწავლეები, რომ დააკვირდნენ, ზუსტად ისევე აღიქვამენ და გაიგებენ ტექსტს, როგორც ეს მასწავლებელმა მიაწოდა თუ არა.
3. მსჯელობა: მოსწავლეები განიხილავენ წაკითხულ ტექსტს. მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები, რომ მათ გააკეთონ მოსმენილისა და წაკითხულის შედარებითი ანალიზი და იმსჯელონ ამ თემაზე.

აქტივობა: სწავლა მეწყვილის დახმარებით

კითხვაში ჩამორჩენილი მოსწავლეების დახმარების ძალიან ეფექტური საშუალებაა მეწყვილეებთან მუშაობის (ე.წ. პარტნიორული კითხვის) მეთოდის გამოყენება. ეს არის აქტივობა, რომლის დროსაც უფრო წარმატებული მოსწავლეები ეხმარებიან თავიანთ თანაკლასელებს კითხვაში, აძლევენ საჭირო რჩევებს, ასწავლიან კითხვის ეფექტური სტრატეგიების გამოყენებას, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და ამ გზით ხელს უწყობენ მათი შედეგების გაუმჯობესებას.

მასწავლებლის როლი ამ აქტივობაში არის ჩამორჩენილი მოსწავლეების საჭიროებების განსაზღვრა, შესაბამისი საკითხავი ამოცანების შეთავაზება ასეთი მოსწავლეებისათვის მათი სუსტი მხარეების გათვალისწინებით და შესაბამისი მეწყვილის მიჩენა. მასწავლებელი, ბუნებრივია, ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს წყვილებში მუშაობას და, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეულ ინსტრუქციებს აძლევდეს „დამხმარე“ მოსწავლეს.

აქტივობის დაგეგმვა:

მასწავლებელი გამოავლენს მოსწავლეებს, რომლებსაც პრობლემები აქვთ კითხვაში, განსაზღვრავს, რომელი უნარების გამომუშავებაში სჭირდებათ მათ დახმარება და ამის მიხედვით შეარჩევს მათ მეწყვილეს. ისინი ინაწილებენ როლებს: ერთი ხდება „მწვრთნელი“, ხოლო მეორე - „მკითხველი“. მაგალითად, როდესაც „მკითხველი“ ხმამაღლა კითხულობს ტექსტს, „მწვრთნელი“ ყურადღებით უსმენს მას და უსწორებს შეცდომებს, აძლევს მას სათანადო რჩევებს, კითხვის დასრულების შემდეგ უსვამს კითხვებს და ეხმარება წაკითხულის გააზრებაში.

მეწყვილეები რეგულარულად უნდა ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. იმისათვის, რომ კლასი არ დაიყოს ძლიერ და სუსტ მოსწავლეებად, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ გარკვეული დროის შემდეგ ყველა მოსწავლეს მიეცეს საშუალება, შეასრულოს „მწვრთნელის“ როლი.

აქტივობა „სწავლა მეწყვილის დახმარებით“ დაახლოებით 25-დან 35 წუთამდე შეიძლება გაგრძელდეს, რადგან ის კითხვის ყველა ეტაპს მოიცავს. შედეგის მისაღებად მისი განხორციელება დასაშვებია კვირაში ერთხელ ან ორჯერ. მოსწავლეთა წასახალისებლად

შეიძლება დაწესდეს ჯილდოებიც „საუკეთესო მწვრთნელისათვის“ და „საუკეთესო მკითხველისათვის“.

აქტივობა: შემოკლებული აბზაცი

წარმოდგენილი აქტივობა მეწყვილეებთან მუშაობის, ანუ პარტნიორული კითხვის მეთოდის ერთ-ერთი სახეობაა. ამ დროს წყვილში მყოფი მოსწავლეები რიგ-რიგობით კითხულობენ აბზაცებს. თითოეული აბზაცის წაკითხვის შემდეგ ჩერდებიან, აჯამებენ მას და ცდილობენ ერთი (ან ორი) წინადადებით გადმოსცენ მისი მთავარი სათქმელი. მეწყვილეები უსმენენ ერთმანეთს და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტივები შეაქვთ, ავსებენ ან აზუსტებენ ერთმანეთის ნათქვამს. მოსწავლემ დაახლოებით ათ სიტყვაში უნდა მოახერხოს შერჩეული მონაკვეთისა თუ აბაზაცის შეჯამება. სასურველია, თუ ეს აქტივობა გამოყენებულ იქნება წერითი უნარ-ჩვევების გასავითარებლად და მოსწავლეები სპეციალურ ცხრილში შეიტანენ შემაჯამებელ წინადადებებს.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელი ქმნის მოსწავლეთა წყვილებს ზუსტად იმ პრინციპით, როგორც ეს წინა აქტივობაშია აღწერილი. თითოეული მოსწავლე რიგ-რიგობით ასრულებს „მწვრთნელისა“ და „მკითხველის“ როლს.
2. ყველა მოსწავლე იწყებს ტექსტის ხმამაღლა კითხვას დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში. თითოეული აბზაცის წაკითხვის შემდეგ იგი ჩერდება და აჯამებს წაკითხულს. ორიენტირის მისაცემად მასწავლებელი წინასწარ, აქტივობის დაწყებამდე მიუთითებს მოსწავლეებს, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება ტექსტის მონაკვეთის შესაჯამებლად (მაგალითად: რა არის ამ აბზაცის/მონაკვეთის მთავარი სათქმელი? ვისზე ან რაზეა ეს აბზაცი/მონაკვეთი? რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მას უკავშირდება ამ მონაკვეთში?)
3. „მწვრთნელი“ ყურადღებით უსმენს თანაკლასელს და უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში, უსვამს მას დამატებით კითხვებს ან სთხოვს, ხელახლა წაიკითხოს მოცემული აბზაცი (ან წინადადება) და გაასწოროს თავისი შეცდომა.
4. მოსწავლეს სპეციალურ ცხრილში შეაქვს თითოეული აბზაცის

შემაჯამებელი წინადადებები. ბოლოს კი ამ შემაჯამებელი წინადადებების მიხედვით წერენ მთლიანი ტექსტის შეჯამებას.

გთავაზობთ ცხრილის ნიმუშს:

აბზაცი #	შეჯამება
1	
2	
3	
4	
5	
შეჯამება:	

აქტივობა: შესაძლო წინადადებები

„შესაძლო წინადადებები“ არის კითხვის წინა ეტაპზე ლექსიკის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში დარგობრივი სიტყვებისა და ცნებების ცოდნის გააქტიურებას.

კითხვის დაწყებამდე მასწავლებელი წინასწარ სთავაზობს მოსწავლეებს წასაკითხი ტექსტიდან ამოკრებილი სიტყვების მოკლე ჩამონათვალს, რომელთა მიხედვითაც მათ უნდა შეადგინონ წინადადებები. კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები უბრუნდებიან ამ წინადადებებს და ამოწმებენ, რამდენ სწორად იცოდნენ მათ ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა და რამდენად ადეკვატურად გამოიყენეს ისინი კონტექსტში.

ეს აქტივობა ძალიან სასარგებლოა იმ მხრივ, რომ იგი მოსწავლეებ უღვივებს ცნობისმოყვარეობას, გაიგონ რას ნიშნავს სინამდვილეში ესა თუ ის სპეციფიკური სიტყვა თუ ტერმინი. შესაბამისად, ისინი ინტერესით კითხულობენ ტექსტსაც.

აქტივობის დაგეგმვა:

1. სანამ მოსწავლეები დაიწყებენ ტექსტის წაკითხვას, მასწავლებელი ყველასთვის დასანახ ადგილზე აკრავს შერჩეული დარგობრივი სიტყვების / ცნებების ჩამონათვალს;
2. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ სცადონ ამ სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა და, თუ შეძლებენ, დააწყვილონ მსგავსი ან ერთმანეთთან შინაარსობრივად დაკავშირებული სიტყვები;
3. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ინდივიდუალურად ან წყვილებში იმუშაონ და შეადგინონ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით. სასურველია, თუ მოსწავლეები დაწყვილებული სიტყვებიდან ორივეს გამოყენებას შეძლებენ წინადადებაში;
4. ამის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ტექსტის კითხვას, რომლის დროსაც ერთმანეთს ადარებენ საკუთარი წინადადებებისა და ტექსტის შინაარსს;
5. თუ მოსწავლეების მიერ შედგენილი წინადადებები შეიცავს შინაარსობრივ უზუსტობებს, მასწავლებელი სთხოვს მათ, გაასწორონ თავიანთი შეცდომები და ხელახლა დაწერონ წინადადებები;
6. მოსწავლეებს შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი წინადადებები ტექსტის წაკითხვამდეც და მის შემდეგაც. ტექტის წაკითხვის შემდეგ ამას შეიძლება თამაშის სახეც მიეცეს. მაგალითად, ერთი წაიკითხავს საკუთარ წინადადებას, ხოლო სხვა მოსწავლემ ან მოსწავლეთა ჯგუფმა უნდა ამოიცნოს, რამდენად სწორად არის მასში გამოყენებული ესა თუ ის სიტყვა ან ცნება. აქტივობის ეს ნაწილი საშუალებას მისცემს მასწავლებელს, შეაფასოს, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეება წაკითხული ტექსტი და შესაბამისი ლექსიკა.

   გთავაზობთ მოსწავლეთა სამუშაო ფურცლის ნიმუშს:

ინსტრუქცია: წაიკითხეთ მასწავლებლის მიერ ჩამოწერილი სიტყვები. ამოიცანით სიტყვების მნიშვნელობა და დააწყვილეთ ერთმანეთთან მნიშვნელობით დაკავშირებული სიტყვების. ჩამოწერეთ სიტყვათა ეს წყვილები.

ახლა კი შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების (ან სიტყვათა წყვილების) გამოყენებით.

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____

როდესაც ტექსტს წაიკითხავთ, დაუბრუნდით და გადაამოწმეთ თქვენ მიერ შეთხზული წინადადებები. შეგიძლიათ გაასწოროთ დაშვებული შეცდომები და შეცვალოთ ან ახლიდან დაწეროთ წინადადებები.

აქტივობა: ხმამაღლა ფიქრი

ამ აქტივობის საშუალებით მოსწავლე სწავლობს საკუთარი ფიქრის პროცესზე დაკვირვებას ტექსტის კითხვისას. ამისათვის მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ კითხვებს, რომლებსაც მან პასუხი უნდა გასცეს კითხვის დროს და გამოავლინოს, რამდენად კარგად იგებს, რასაც კითხულობს. დროთა განმავლობაში, როცა მოსწავლეები საკმარისად აუღებენ ალღოს ამ აქტივობას, მათ საშუალება უნდა მიეცეთ, თავად მოიფიქრონ კითხვები და სრულად მართონ საკუთარი კითხვის პროცესი.

ხმამაღლა ფიქრი ძალიან პრაქტიკული და საკმაოდ ადვილად შესასრულებელი აქტივობაა. თავდაპირველად მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს მოსწავლეებს, რას ნიშნავს „ხმამაღლა ფიქრი“ კითხვის პროცესში და, ამავე დროს, აუხსნას როგორ იქცევა კარგი მკითხველი: იგი ზოგჯერ თავიდან კითხულობს წინადადებას ინფორმაციის

დასაზუსტებლად, ზოგჯერ წინ გარბის, რათა ნათელი მოჰფინოს მანამდე წაკითხულს, ასევე, აკვირდება მთლიან კონტექსტს და ასე ცდილობს იმის წაკითხულის გაგებას და ა.შ. ხმამაღლა ფიქრის დროს მოსწავლე კითხულობს გაცილებით ნელა, რაც აძლევს მას საშუალებას გაიაზროს, კარგად ესმის თუ არა, რასაც კითხულობს.

აქტივობის მიმდინარეობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს წასაკითხად სთავაზობს ტექსტს და დამხმარე კითხვებს ხმამაღლა ფიქრისთვის.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიგონ, როგორ უნდა შეასრულონ ეს დავალება, თავდაპირველად მასწავლებელი იწყებს ტექსტის ხმამაღლა კითხვას, ხოლო მოსწავლეები მას ჩუმად კითხულობენ. დრო და დრო მასწავლებელი ჩერდება და პასუხობს წინასწარ შემუშავებულ კითხვებს.

მაგალითისთვის გთავაზობთ რამდენიმე კითხვის ნიმუშს:

1. რა ვიცი ამ თემის (საკითხის) შესახებ?
2. რა შეიძლება გავიგო ტექსტიდან ამ თემის (საკითხის) შესახებ?
3. კარგად გავიგე თუ არა, რაც ამ წუთას წავიკითხე?
4. კარგად შემიძლია თუ არა წარმოვიდგინო გონებაში, რაც აქ წერია?
5. რა შემიძლია გავაკეთო, რომ ეს ადგილი უფრო კარგად გავიგო?
6. რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი (ადგილები) ამ ტექსტში?
7. რა გავიგე ახალი წაკითხულიდან?
8. როგორ შემიძლია ერთმანეთთან დავაკავშირო ის, რაც ვიცოდი და ის, რაც ახლა გავიგე?

აქტივობა: იდეათა რუკა

ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეს, ვიზუალურად დაინახოს და აღიქვას სიტყვებს, ფრაზებსა და საკითხავი ტექსტის მთავარ იდეას შორის არსებული მრავალმხრივი კავშირები. სწორედ ვიზუალიზაცია განაპირობებს იმას, რომ ეს მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა ჩამორჩენილი მკითხველებთან სამუშაოდ, რაც მრავალ ქვეყანაში ჩატარებული კვლევებით დასტურდება.

გთავაზობთ იდეათა რუკის ნიმუშს:



აქტივობის დაგეგმვა:

1. თუკი მასწავლებელი ამ აქტივობას კითხვის პროცესში გამოიყენებს, მაშინ იგი მთლიანი ტექსტის ან მისი ერთი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, წაკითხული მონაკვეთიდან გამოკვეთონ მთავარი სათქმელი. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ამის გაკეთება შეძლონ, სასურველია, რომ მასწავლებელს გარკვეული მოსამზადებელი სამუშაო ჰქონდეს ჩატარებული პირდაპირი სწავლებისა და მოდელირების გზით.
2. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს შესავსებად გამზადებული იდეათა რუკის ნიმუშს (ან დაფაზე, ან ფურცლებზე, რომლებსაც ურიგებს ყველა მოსწავლეს) და სთხოვს მათ, ცენტრალურ რგოლში ჩაწერონ ტექსტის ან მისი მონაკვეთის მთავარი სათქმელი (იდეა), გარშემო განლაგებულ რგოლებში კი - ა) ტექსტიდან ამოიწერონ ფაქტები ან მოსაზრებები, რომლებიც ამყარებს მთავარ სათქმელს (იდეას) ან 2) საკუთარი მოსაზრებები, რომლებიც უკავშირდება წაკითხული ტექსტის ან მისი მონაკვეთის მთავარ სათქმელს. მუშაობის პროცესში შესაძლებელია იდეათა რუკაზე რგოლების რაოდენობის გაზ-

რდაც.

3. თუკი მასწავლებელი ამ აქტივობას კითხვის წინა ეტაპზე გამოიყენებს, მაშინ ცენტრალური იდეის გარშემო მოსწავლეები ჩაწერენ იმას, რა ცოდნასაც (ინფორმაციას) ფლობენ წარმოდგენილი საკითხის თუ თემის შესახებ. კითხვის პროცესში კი ისინი მიუბრუნდებიან რუკას და გადაახალისებენ მას ახალ-ახალი ინფორმაციით.
4. მასწავლებელს შეუძლია იდეათა რუკა გამოიყენოს, როგორც წაკითხული ტექსტის შეჯამების საშუალებაც.

აქტივობა: ორმაგი ჩანაწერები

ორმაგი ჩანაწერების ფურცელი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ჩაიწერონ ყველა ის მოსაზრება და შთაბეჭდილება, რომელიც მათ კითხვის პროცესში ებადებათ. ისინი ამოიწერენ ტექსტიდან ისეთ ფრაზებს და წინადადებებს, რომლებმაც ყველაზე მეტად დააინტერესა ისინი და ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, ხოლო გასწვრივ მიუწერენ საკუთარ დამოკიდებულებებსა და მოსაზრებებს. ამ მეთოდის მიზანია, საკუთარი ფიქრების, მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების თავისუფლად გამოხატვის გზით ხელი შეუწყოს მოსწავლეს, აქტიურად იაზროვნოს კითხვის პროცესში და დაკვირვებით წაიკითხოს ტექსტი.

აქტივობა „ორმაგი ჩანაწერების ფურცელი“ ხელს უწყობს წაკითხულის გააზრებას, ლექსიკის გაგებასა და ტექსტის შინაარსის, მასში გადმოცემული ინფორმაციის კარგად დამახსოვრებას, აგრეთვე, წერის უნარ-ჩვევების განვითარებასაც.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს შერჩეული ტექსტის წაკითხვას და აძლევს ინსტრუქცია, როგორ შეავსონ ორმაგი ჩანაწერების ფურცელი: მოსწავლეებს შინაარსობრივად დასრულებული ნებისმიერი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ, მათთვის სასურველ ადგილას შეუძლიათ დროებით შეწყვიტონ კითხვა და გააკეთონ ჩანაწერები;
2. მოსწავლეები ჩანაწერების ფუცლის მარცხენა მხარეს ამოიწერენ ტექსტიდან მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფრაზას ან წინადადებას, ხოლო მის გასწვრივ, მარჯვენა სვეტში გად-

მოსცემენ ამ კონკრეტული ფრაზის / წინადადების მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას, მოსაზრებას თუ მისით გამოწვეულ შთაბეჭდილებას. მოსწავლეს შეუძლია გააკეთოს მოკლე კომენტარი, დასვას კითხვა ან თუნდაც გააანალიზოს მის მიერ შერჩეული წინადადება ან ფრაზა;

3. აქტივობის დასკვნით ნაწილში, სასურველია, თუ მოსწავლეები გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ჩანაწერებს.

გთავაზობთ ორმაგი ჩანაწერების ფურცლის ნიმუშს:

#	რა წერია ტექსტში	რას ვფიქრობ მე
1		
2		
3		
4		
5		

აქტივობა: გამოკითხვის ფურცელი

„გამოკითხვის ფურცელი“ არის აქტივობა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დახელოვნდნენ რაიმე თემის/საკითხის გარშემო საინტერესო და შინაარსიანი კითხვების მოფიქრებასა და წერილობით ჩამოყალიბებაში. მოსწავლეები ახერხებენ საკუთარი წინარე ცოდნისა და სხვადასხვა წყაროდან მიღებულ დამატებითი ინფორმაციის ინტეგრირებას. ეს აქტივობა სამი ეტაპისაგან შედგება. ეს ეტაპებია: 1) დაგეგმვა; 2) ინტერაქცია და 3) ინტეგრირება / შეფასება.

ეს აქტივობა საგრძნობლად ავითარებს კრიტიკული აზროვნებისა და კითხვის სხვადასხვა უნარს. მისი გამოყენება შეიძლება მთელ კლასთან, მცირე ჯგუფებთან და ინდივიდუალური მუშაობისთვის. გამოკითხვის ფურცელი კარგი საშუალებაა მასწავლებლისთვის, შეაფასოს, რამდენად ამომწურავად გაიგო და გაიაზრა თითოეულმა მოსწავლემ ესა თუ ის თემა ან საკითხი.

აქტივობის დაგეგმვა:

მოსწავლეები მუშაობას იწყებენ დაგეგმვის ეტაპით, რომელსაც უძღვება მასწავლებელი. ეს ეტაპი მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

1. თემის / საკითხის შერჩევა;
2. კითხვების ჩამოყალიბება;
3. გამოკითხვის ფურცლის შედგენა;
4. მასალის შეგროვება.

მომდევნო ეტაპია ინტერაქცია, რომელიც მოიცავს შემდეგს:

1. წინარე (არსებული) ცოდნის აქტივაცია;
2. საინტერესო / მნიშვნელოვანი ფაქტების გაზიარება;
3. კითხვა ინფორმაციის მოძიების მიზნით.

აქტივობის ბოლო, ინტეგრირებისა და შეფასების ეტაპს კი კვლავ მასწავლებელი უძღვება. ეს ეტაპი მოიცავს შემდეგ ოპერაციებს:

1. შეჯამება;
2. შედარება;
3. გამოკვლევა;
4. ანგარიშის მომზადება.

გთავაზობთ გამოკითხვის ფურცლის ნიმუშს:
სახელი ————————————————————————————————

თემა/საკითხი ————————————————————————————

	კითხვა 1	კითხვა 2	კითხვა 3	კითხვა 4	საინტერესო ფაქტები	ახალი კითხვები
ვიცით, რომ....						
წყარო 1						
წყარო 2						
წყარო 3						
შეჯამება						

როგორც ვხედავთ, კითხვები იწერება ცხრილის პირველ ჰორიზონტალურ სვეტში მოთავსებულ უჯრებში (კითხვა 1, კითხვა 2...), მეორე სვეტში კი, თითოეული კითხვის ქვეშ იწერება ის ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეებს უკვე ჰქონდათ შეჩეული თემის/საკითხის შესახებ. მათ ქვეშ კი მინიშნებულია სხვადასხვა წყაროდან მიღებული დამატებითი ინფორმაცია. სულ ბოლო რიგში კი მოსწავლეებს შეუძლია თავი მოუყარონ მთლიან სვეტში ჩამოწერილ ყველა ინფორმაციას და შეაჯამონ იგი. თუკი თითოეული სვეტის სხვადასხვა უჯრებში მოცემული ინფორმაცია ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ან არ ჩაითვლება საკმარისად, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, მოიფიქრონ და დასვან ახალი, დამატებითი კითხვები ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

აქტივობა: ყველაზე მნიშვნელოვანი

ეს აქტივობა ეფუძნება თანამშრომლობით სწავლის პრინციპს, როცა მოსწავლეები აქტიურად ეხმარებიან ერთმანეთს წაკითხულის გააზრებაში. ამიტომ, სასურველია, რომ მასწავლებელმა ჯგუფები დააკომპლექტოს ისე, რომ მასში გაერთიანდნენ როგორც წარმატებული, ისე შედარებით სუსტი მკითხველებიც. ჯგუფის თითოეულ წევრს ეკისრება მისია, რომ გახდეს წასაკითხი ტექსტის ერთი რომელიმე მონაკვეთის „ექსპერტი“ და შემდეგ „ასწავლოს“ იგი ჯგუფის დანარჩენ წევრებს.

ეს აქტივობა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას მოსწავლეებში. მათ საშუალება ეძლევათ, ისწავლონ ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობა, აიღონ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა, ასწავლონ და დაეხმარონ სხვას. შესაბამისად, ამ ტიპის აქტივობები საგრძნობლად ავითარებს ზეპირმეტყველების (მოსმენის), ეფექტური კომუნიკაციისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელი აკომპლექტებს 3-5 მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებს, რომლებშიც გაერთიანებულია კითხვაში სხვადასხვა დონეზე მყოფი მოსწავლეები;
2. მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს დასამუშავებლად შერჩეული ტექსტის წაკითხვას;
3. მასწავლებელი არჩევს საკითხებს/თემებსსაკითხავი მასალიდან და ჯგუფის თითოეულ წევრს ურიგებს დასამუშავებლად;
4. პარალელურად იქმნება „ექსპერტთა ჯგუფები“, რომლებშიც ერთიანდებიან ის მოსწავლეები სხვადასხვა ჯგუფებიდან, რომლებსაც ერთი და იგივე საკითხი/თემა აქვთ დასამუშავებელი.
5. აქტივობის მიმდინარეობა წინასწარ უნდა გაიწეროს და მასწავლებელმა სხვადასხვა ჯგუფში სამუშაოდ კონკრეტული დრო უნდა გამოუყოს მოსწავლეებს. აგრეთვე, სასურველია, თუ მათ წინასწარ ექნებათ გამზადებული სამუშაო ფურცლების შაბლონიც;
6. მასწავლებლის დახმარებით „ექსპერტთა ჯგუფები“ დასამუშავებელი საკითხის/თემის საფუძველზე გამოყოფენ საკვანძო საკითხებს და იმუშავებენ მათ შესახებ საჭირო ინფორმაციის

მოძიებასა და დამუშავებაზე;

7. სასურველია, რომ „ექსპერტთა ჯგუფებს“ დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად მაქსიმალურად მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება შეძლონ, რათა კარგად და ამომწურავად შეისწავლონ ესა თუ ის საკითხი;
8. ამის შემდეგ „ექსპერტთა ჯგუფების“ წევრები უბრუნდებიან თავიანთ ჯგუფებს და მოცემული საკითხის/თემის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას აწვდიან თანაჯგუფელებს. ეს პროცედურაც წინასწარ უნდა გაწეროს მასწავლებელმა, რათა თითოეულ მოსწავლეს თანაბრად მიეცეს საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაციის საშუალება და, ამავე დროს, არ დაირღვეს ტექსტის შინაარსი;
9. სხვადასხვა „ექსპერტის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაგროვებლად და შესაჯამებლად სასურველია გრაფიკული მაორგანიზებლის წინასწარ მომზადებაც და დარიგება თითოეული მოსწავლისთვის;
10. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ ყურადღებით უნდა მოუსმინონ ერთმანეთს დაისწავლონ „ექსპერტებისგან“, რასაც მასწავლებელი აუცილებლად შეამოწმებს.

შენიშვნა: რადგან ეს აქტივობა ტექნიკური თვალსაზრისითი საკმაოდ კომპლექსურია და მთელ გაკვეთილს მოიცავს, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მისი მიმდინარეობისას გამუდმებით ადევნოს თვალყური თითოეული მოსწავლის მუშაობას, მკაცრად გააკონტროლოს რეგლამენტი. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს კიდეც ჯგუფებს მასალის კარგად და ზედმიწევნით გააზრებასა და ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გამოკვეთაში.

სასურველია, ჯგუფის თითოეულმა „ექსპერტმა“ წევრმა შეავსოს წინასწარ გამზადებული ცხრილი (გრაფიკული მაორგანიზებელი), რომელშიც თავს მოუყრის და შეაჯამებს მთელ ინფორმაციას. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ინფორმაციის დახარისხებისა და შეჯამების უნარ-ჩვევების გამომუშავებას მოსწავლეებში, მეორე მხრივ კი, საშუალებას მისცემს მასწავლებელს, შეაფასოს როგორც ჯგუფების, ისე თითოეული მოსწავლის მუშაობა.

გთავაზობთ გრაფიკული მაორგანიზებლის ნიმუშს:
თემა/საკითხი _____

ინსტრუქცია: ტექსტის წაკითხვისა და თანაჯგუფელებთან განხილვის შემდეგ ჩამოწერეთ ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც შერჩეულ თემას უკავშირდება. როდესაც თქვენ გახდებით „ექსპერტი“ ამ საკითხში, თქვენ შეძლებთ გაუზიაროთ თქვენი ნამუშევარი თქვენს მეგობრებს, ხოლო ისინი გაგიზიარებენ საკუთარს.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია: 1. 2. 3.
შეჯამება:
დამატებითი ფაქტები:

აქტივობა: კითხვა წყვილებში

ეს არის მეთოდი, როდესაც მოსწავლეები თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების გზით ცდილობენ გააუმჯობესონ როგორც საკუთარი, ისე თავიანთი თანაკლასელების მიღწევები კითხვაში. ცნობილია, რომ ამ დროს მოსწავლეები უფრო გაბედულად და მეტი მონდომებით კითხულობენ თუნდაც მათთვის რთულად გასაგებ ტექსტებს და ცდილობენ ამ სირთულეების დაძლევას. მთავარია, მასწავლებელმა წინასწარ სათანადოდ დაგეგმოს აქტივობის მიმდინარეობა და უზრუნველყოს თანამშრომლობითი გარემო მოსწავლეებს შორის.

მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს. იმისათვის, რომ ეს აქტივობა განსკუთრებით სასარგებლო და შედეგისმომტანი იყოს კითხვაში ჩამორჩენილი მოსწავლეებისთვის, სასურველია, რომ მასწავლებელმა ყველა ასეთ მოსწავლეს შედარებით გაწაფული მკითხველი შეურჩიოს მეწყვილედ. საკითხავ მასალად შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი სახის ტექსტი (საინფორმაციო და მხატვრული ტექსტები - მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები და ა.შ.).

ეს აქტივობა ავითარებს არა მხოლოდ კითხვის, არამედ ზეპირმეტყველების (მოსმენისა და ლაპარაკის) უნარებსაც. ამასთანავე, ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური კომუნიკაციისა და ურთიერთანამშრომლობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

აქტივობის დაგეგმვა:

1. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა წინასწარ გააცნოს მოსწავლეებს, რას ისახავს მიზნად წყვილებში კითხვა, შემდეგ კი მათთან ერთად განსაზღვროს, როგორ უნდა იმუშაონ ერთად. მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ შემდეგნაირად დაგეგმონ ერთობლივი კითხვა: ა) ხმამაღლა ერთად წაიკითხონ ტექსტის რომელიმე მონაკვეთი, შემდეგ - ცალ-ცალკე და მას შემდეგ, რაც შედარებით სუსტი მოსწავლე მიიღებს მაგალითს თავისი წარმატებული თანაკლასელისაგან, ისევ ერთად წაიკითხონ იგივე მონაკვეთი; ბ) მოსწავლეებს შეუძლიათ გაინაწილონ ტექსტი და რიგრიგობით წაუკითხონ ერთმანეთს სხვადასხვა მონაკვეთი. ერთობლივი კითხვის ეს ფორმაც მოდელირების პრინციპს ეფუძნება; გ) შესაძლებელია მთელი ტექსტი წაიკითხოს მხოლოდ ერთმა - წარამტებულმა მკითხველმა, ხოლო

შედარებით სუსტმა მოსწავლემ ყურადღებით მოუსმონოს მას, თან თვალი ადევნოს ტექსტს.

2. მასწავლებელმა წინასწარ უნდა მისცეს რეკომენდაციები მოსწავლეებს, როგორ მიუთითონერთმანეთს შეცდომებზე (მაგალითად, რომელი სიტყვა წაიკითხეს არასწორად, ან გამოტოვეს, სად არ გამოიყენეს მოდალობის შესაფერისი ინტონაცია ან არ დაიცვეს პაუზა სასვენ ნიშანთან და ა.შ.) და როგორ ასწავლონ ამ შეცდომებისა თუ ხარვეზების გამოსწორება (მაგალითად, სთხოვოს მეწყვილეს, შეჩერდეს და თავიდან წაიკითხოს რომელიმე სიტყვა ან ფრაზა, ან თვითონ უჩვენოს სწორი წაკითხვის მაგალითი და შემდეგ ხელახლა წააკითხოს იგივე მონაკვეთი მეწყვილეს).
3. აქტივობის დასრულების შემდეგ, სასურველია, რომ მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს, შეაჯამონ თავიანთი ერთობლივი კითხვა, იმსჯელონ, შეაფასონ ერთმანეთი, რა ხარვეზები აღმოუჩინეს მეწყვილეს და როგორ შეეცადნენ მათ გამოსწორებას, რა ისწავლეს თავიანთი მეწყვილისაგან და ა.შ.

აქტივობა: მთავარი, ნაკლებად მთავარი და მეორეხარისხოვანი

კითხვის უნარის გასავითარებლად უმნიშვნელოვანესია, რომ მკითხველს შეეძლოს არა მხოლოდ ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაგება, არამედ მისი ორგანიზება და კატეგორიზაციაც. ამ აქტივობის მიზანი სწორედ ის არის, რომ დაეხმაროს მოსწავლეს, შეძლოს წაკითხული ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის დახარისხება. ვიზუალიზაცია, ანუ გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენება განსაკუთრებით უწყობს ხელს ამ უნარ-ჩვევის სწრაფად და იოლად დაუფლებას.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები ისწავლიან, როგორ განასხვავონ ერთმანეთისაგან მთავარი და მეორეხარსიხოვანი (დამხმარე დეტალები) ტექსტის კითხვის დროს და მისი დასრულების შემდგომ.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს წასაკითხ ტექსტს, აცნობს მათ აქტივობის მიზანს და მაგალითის საფუძველზე უხსნის,

რა პრინციპით უნდა დაახარისხონ ინფორმაცია. ასეთი მაგალითია:

კატეგორია 1. ცხოველები:

- კატეგორია 2. ძაღლები:
  - კატეგორია 3. კავკასიური ნაგაზი
  - კატეგორია 3. ლაბრადორი

- კატეგორია 2. კატები:
  - კატეგორია 3. სიამის კატა
  - კატეგორია 3. სპარსული კატა

2. როდესაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიგეს ინფორმაციის კატეგორიზაციის პრინციპი, მას შეუძლია დაავალოს მოსწავლეებს, ამოკრიბონ ტექტიდან 1-ლი კატეგორიის ინფორმაცია.

3. ამის შემდეგ ისინი იწყებენ ქვეკატეგორიებზე (2, 3, 4 და ა.შ.) მუშაობას. პირველ ეტაპზე, სასურველია, რომ მუშაობა წარიმართოს მთელ კლასთან ერთად და თითოეული კატეგორიისთვის შერჩეული ინფორმაცია (დეტალი) ერთობლივად იქნას განხილული.

4. ამის შემდეგ მოსწავლეები ავსებენ წინასწარ გამზადებულ გრაფიკულ მაორგანიზებელს.

გთავაზობთ გრაფიკული მაორგანიზებლის ნიმუშს:

ინსტრუქცია: შეავსეთ ცხრილი. დაიწყეთ მთავარი, პირველხარისხოვანი ინფორმაციით და მიუწერეთ გასწვრივ I კატეგორიას, ხოლო ინფორმაცია, რომელიც ავსებს (აზუსტებს) მას, - მიუწერეთ II კატეგორიას, მისი დამხმარე დეტალი კი - III კატეგორიას და ა.შ.

I კატეგორია: მთავარი საკითხი (თემა)

II კატეგორია: ინფორმაცია (დეტალი), რომელიც ავსებს I კატეგორიას

III კატეგორია: ინფორმაცია (დეტალი), რომელიც ავსებს II კატეგორიას

IVკატეგორია: ინფორმაცია (დეტალი), რომელიც ავსებს III კატეგორიას

I კატეგორია **II კატეგორია**

აქტივობა: კითხვის გზამკვლევი

კითხვის გზამკვლევი ეხმარება მოსწავლეებს მათთვის შედარებით რთული, უპირატესად, დარგობრივი ტექსტების წაკითხვაში, რომელთა დამოუკიდებლად გაგებაც შეიძლება გაუჭირდეთ. კითხვის პროცესში მოსწავლეები ხელმძღვანელობენ მასწავლებლის მიერ წინასწარ შედგენილი გზამკვლევით, რომელიც ერთგვარი ორიენტირის როლს ასრულებს და დახმარებას უწევს მათ ძირითადი საკითხების გამოკვეთასა და გაგებაში, ასევე ინფორმაციის ორგანიზებაში.

ეს აქტივობა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მთელ კლასთან, ისე მცირე ჯგუფებთან და ცალკეულ მოსწავლეებთან მუშაობისას.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელი შერჩეული საკითხავი მასალის მიხედვით ადგენს კითხვის გზამკვლევს, რომელშიც გამოკვეთს ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვან, ყურადსაღებ ფაქტებსა და ნაკლებად მნიშვნელოვან დეტალებს. შესაძლებელია კითხვის სხვადასხვა დონეზე მყოფი მოსწავლეებისთვის მასწავლებელმა შეიმუშაოს გზამკვლევის სხვადასხვა ვერსია.
2. მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებზე კითხვის გზამკვლევებს და სთხოვს მათ, კითხვის პროცესში შეავსონ იგი. სასურველია, რომ აქტივობის საწყის ეტაპზე მასწავლებელი

გაუძღვეს მოსწავლეთა კითხვის პროცესს და დაეხმაროს მათ გზამკვლევებთან მუშაობაში.

გთავაზობთ კითხვის გზამკვლევის ნიმუშს, რომელიც ისტორიულ თემაზე შექმნილ ტექსტს უკავშირდება:

- რა არის ტექსტის მთავარი თემა / რას ეხება ტექსტი? ..
.....
- რა არის ავტორის მიზანი? .....
- ავტორი საუბრობს განსხვავებაზე (ან მსგავსებაზე) ..... და ..... შორის.
- რომელ წლებში მოხდა ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები? .....
- ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც ..... გააკეთა, იყო .....
- ავტორის დამოკიდებულება ..... მიმართ არის .....
- ჩემი დამოკიდებულება ..... მიმართ არის .....
- ამ ტექსტიდან ვისწავლე/გავიგე, რომ .....
.....
- ამ ტექსტში აღწერილ მოვლენას შევადარებდი .....
.....

აქტივობა: ორმხრივი სწავლება

ორმხრივი სწავლება გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა მასწავლებლის როლი შეასრულოს და თავად გაუძღვეს დისკუსიას წაკითხული გარშემო. ეს მეთოდი ეფუძნება კითხვის შემდეგ ოთხ სტარტეგიას: ვარაუდების გამოთქმა, კითხვების გენერირება, ინფორმაციის დაზუსტება და შეჯამება. ეს აქტივობა დიდად უწყობს ხელს წაკითხულის გაგება-გააზრებას, რადგან მოსწავლეები კითხვის პროცესში მრავალმხრივად ამუშავებენ ტექსტს: ახარისხებენინფორმაციას, ამოიცნობენ მთავარ თემას/სათქმელს, ამუშავებენ ლექსიკას, მსჯელობენ და აჯამებენ წაკითხულს.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელი შეარჩევს საკითხავ მასალას და ყოფს მას მცირე მონაკვეთებად;
2. ამის შემდეგ მასწავლებელი ყოფს კლასს ჯგუფებად, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან სხვადახვა დონის მკითხველები. ერთ-ერთი მოსწავლე ინიშნება „მასწავლებლად“. იგი პასუხისმგებელია, რომ მისმა ჯგუფმა იმუშაოს ზემოთ ჩამოთვლილ ოთხივე სტრატეგიაზე.
3. „მასწავლებელი“ უკითხავს თავის ჯგუფს ტექსტის ნაწილს და უძღვება ორმხრივი სწავლების აქტივობას.

გთავაზობთ ორმხრივი სწავლების მოდელს:

1. ვარაუდების გამოთქმა.

ა) ჰკითხეთ მოსწავლეებს, მათი აზრით, რას შეიძლება ეხებოდეს წასაკითხი ტექსტი. სთხოვეთ მათ, დაფიქრდნენ, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები. ეცადეთ, დასვათ ბევრი კითხვა, რათა დააზუსტოთ ყველა დეტალი მათი წარმოდგენების შესახებ.

2. კითხვების გენერირება.

ა) შეახსენეთ თქვენს ჯგუფს, რომ მოსმენისა და კითხვის პროცესში მათ უნდა მოიფიქრონ და ჩამოაყალიბონ კითხვები ტექსტის წაკითხული მონაკვეთის შესახებ. სთხოვეთ მათ, დასვან სამი ტიპის შეკითხვები. ესენია:

I. გაგებაზე ორიენტირებული (რომლის პასუხიც პირდაპირ არის ტექსტში მოცემული);

II. გააზრებაზე ორიენტირებული (რომელზე პასუხის გაცემა მოითხოვს იმპლიციტური, ანუ ქვეტექსტური ინფორმაციის გაგებას, ასევე დასკვნების გამოატანას;

III. ანალიზსა და კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული კითხვები (რომლებიც მოითხოვს საკუთარი აზრის, დამოკიდებულების გადმოცემას, ტექსტის შეფასებას).

3. დაზუსტება.

ა) შეახსენეთ თქვენს ჯგუფს, რომ მოსმენისა და კითხვის პროცესში დაუსვან კითხვები საკუთარ თავს, თუ რომელი სიტყვის მნიშვნელობა ან ფრაზა ვერ გაიგეს, ან გაუჩნდათ ეჭვი, რომ არასწორად

გაიგეს. ეს კითხვები და მოსაზრებები დაახლოებით ასეთი შინაარსის შეიძლება იყოს:

I. რას შეიძლება ნიშნავდეს ეს სიტყვა / ფრაზა?

II. რაზე საუბრობდა ავტორი წინა წინადადებაში? მომდევნო წინადადებაში?

III. ჩემი აზრით, ეს სიტყვა უნდა ნიშნავდეს / ეს ფრაზა უნდა გულისხმობდეს.....

IV. ჩემი აზრით, ავტორს აქ სურს გვითხრას.....

4. შეჯამება.

ა) სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ კითხვის პროცესში შეაჯამონ ტექსტის თითოეული ნაწილი. კითხვის დასრულებისას სთხოვეთ თქვენს ჯგუფს, რომ ჯერ ზეპირად შეაჯამონ მთლიანი ტექსტი, თქვენ კი თავი მოუყარეთ მათ ნააზრევს, ჩაიწერეთ და წაუკითხეთ მათ საბოლოო ვერსია. ტექსტის ნაწილებისა და მთლიანი ტექსტის შესაჯამებლად მათ შეუძლიათ გამოიყენონ „შემოკლებული აბზაცის“ მეთოდი (იხ. გვ.....)

აქტივობა: შერჩევითი მონიშვნა

ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეს წაკითხულის ორგანიზებაში. ისინი ახარისხებენ ინფორმაციას და გამოკვეთენ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს. მოსწავლეებს ევალებათ, მონიშნონ (მარკერით ან ხაზი გაუსვან) მხოლოდ და მხოლოდ საკვანძო სიტყვები და ფრაზები, რომლებიც აუცილებელია ტექსტის გასაგებად. ეს აქტივობა საკმაოდ მოქნილია იმ თვალსაზრისით, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია განსხვავებული სახისა და სირთულის ტექსტების დასამუშავებლად, აგრეთვე, სხვადასხვა სასწვლო მიზნის მისაღწევად (მაგალითად, ლექსიკაზე სამუშაოდ ან ტექსტში ძირითადი და მეორეხარისხოვანი ფაქტებისა თუ იდეების დასახარისხებლად).

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს საკითხავ მასალას და უხსნის აქტივობის მიმდინარეობას;
2. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს თავიდან ბოლომდე;

3. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თავიდან წაიკითხონ ტექსტი და მონიშნონ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები (სადაც ძირითადი იდეაა გადმოცემული) და საკვანძო სიტყვები ან ფრაზები (და არა მთლიანი წინადადებები);
4. ამის შემდეგ მოსწავლეები სხვა ფერის მარკერით ან ფანქრით მონიშნავენ ისეთ ადგილებს (ან სიტყვებსა და ფრაზებს), რომლებიც ძირითადი იდეის გაგებაში ეხმარება მკითხველს;
5. სასურველია, თუ აქტივობა განაწილდება ჯგუფებში. მუშაობის დასრულების შემდეგ კი ჯგუფები გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს, გაიმართება დისკუსია, რის შემდეგაც მათ მიეცემათ საშუალება, შეიტანონ შესწორებები საკუთარ ნამუშევრებში;
6. აქტივობის დასასრულს მოსწავლეები ზეპირად შეაჯამებენ, რა არის მთავარი ტექსტში და რა ეხმარება მკითხველს მის გაგებაში. შეჯამებას შეიძლება წერილობითი სახეც მიეცეს.

აქტივობა: სემანტიკური კავშირები

ეს აქტივობა წაკითხულის გაგებასა და გააზრებას უწყობს ხელს. მოსწავლეები ერთმანეთთან აზრობრივად აკავშირებენ სიტყვებსა და ტექსტში მოცემულ შესაბამის ინფორმაციას. მისი საშუალებით მოსწავლეები იგებენ სიტყვების მნიშვნელობას და აჯგუფებენ მათ ლოგიკური ნიშნის მიხედვით. ამ აქტივობისთვის გამოიყენება მატრიცა, რომელსაც მოსწავლეები ჯერ ავსებენ, ხოლო შემდეგ - აანალიზებენ. ამგვარი ვიზუალიზაცია ეხმარება მათ, მკაფიოდ დაინახონ კავშირები ტექსტის სხვადასხვა ნაწილში გადმოცემულ ინფორმაციას შორის, ამავე დროს, უკეთ გაიაზრონ და დაიმახსოვრონ ეს ინფორმაცია.

მასწავლებელმა ეს აქტივობა შეიძლება გამოიყენოს როგორც მთელ კლასთან, ისე მცირე ჯგუფებთან და ცალკეულ მოსწავლეებთან სამუშაოდ. მატრიცის წყალობით მას შეუძლია სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს, თუ რამდენად კარგად გაიგეს და გაიაზრეს მოსწავლეებმა წაკითხული ტექსტი, შეაფასოს ისინი და ამის მიხედვით დაგეგმოს სასწავლო პროცესი.

გთავაზობთ სემანტიკური მატრიცის ნიმუშებს:
ნიმუში 1:

	ფარნავაზ მეფე	თამარ მეფე	დავით აღ-მაშენებელი	დემეტრე თავდადე-ბული
ერთიანი საქართ-ველოს მეფე	+	+	+	+
გაატარა რეფორმე-ბი	+	+	+	-
გააერთაიანა საქა-რთველო	+	-	+	-
შეიპყრეს და მოკლეს მტრებმა	-	-	-	+
მეფობდა 30 წელზე მეტ ხანს	+	-	+	-

ნიმუში 2:

	მეფე	პრეზი-დენტი	იმპერა-ტორი	მინისტრი
მოღვაწეობს მონარ-ქიულ სახელმწი-ფოებში	+	-/+	+	-
მოღვაწეობს დე-მოკრატიულ სახ-ელმწიფოებში	-/+	+	-	+
ირჩევს ქვეყნის მო-სახლეობა	-	+	-	-
შესაძლებელია მისი ხელახლა არჩევა	-	+	-	-
აქვს სრული ძალაუ-ფლება	+	-	+	-
განაგებს იმპერიას	-/+	-	+	-
ნიშნავს ქვეყნის მთავრობა	-	-	-	+

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელის შეარჩევს ტექსტს და წინასწარ ამზადებს სემანტიკურ მატრიცას. იგი ამოკრებს ტექსტიდან საკვანძო

სიტყვებს და ძირითად საკითხებს, რომლებიც აზრობრივად ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მომავალში, როდესაც მოსწავლეები ისწავლიან ასეთ მატრიცაზე მუშაობას, ისინი თვითონ შეძლებენ ამის გაკეთებას.

2. მოსწავლეები ყურადღებით კითხულობენ ტექსტს;
3. კითხვის დასრულების შემდეგ ისინი წერენ +, - ან -/+ ნიშნებს იმის მიხედვით, რამდენად შეესაბამება სიტყვები ცხრილის მარცხენა სვეტში მოცემულ ინფორმაციას;
4. მუშაობის დასრულების შემდეგ, სასურველია, მოსწავლეებმა გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი ნამუშევრები, განიხილონ განსხვავებული პასუხები, გაასწორონ შეცდომები და შემდეგ შეაჯამონ, რა ისწავლეს წაკითხული ტექსტიდან.

აქტივობა: ამბის რუკა

მასწავლებლები ამ აქტივობას იყენებენ იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუადვილონ როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული ნარატიული ტექსტების სტრუქტურის აღქმა და, შესაბამისად, დაეხმარონ მის უკეთ გააზრებაში. ამ აქტივობაში ჩართულია გრაფიკული მაორგანიზებელი, რისი საშუალებითაც მოსწავლე იოლად ახერხებს ტექსტის ყველა ძირითადი (მნიშვნელოვანი) დეტალის ორგანიზებას. ამ დროს მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ ტექსტის მთავარ თემაზე, პერსონაჟებზე, მოქმედების ადგილსა და მოვლენათა თანამიმდევრობაზე და ამ ყველაფერს თავს უყრიან გონებაში.

მასწავლებელმა ეს აქტივობა შეიძლება გამოიყენოს როგორც მთელ კლასთან, ისე მცირე ჯგუფებთან და ცალკეულ მოსწავლეებთან სამუშაოდ. იგი თანაბრად სასარგებლოა ყველა მოსწავლისათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც უჭირს ტექსტის მთლიანობაში აღქმა. ვიზუალიზაცია, ანუ გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება სწორედ საუკეთესო საშუალებაა ასეთი მოსწავლეების დასახმარებლად.

ატივობის დაგეგმვა:

- მასწავლებელი შეარჩევს საკითხავ მასალას და მასზე დაფუძნებით ჩამოწერს ძირითად დეტალებს, რომლებზეც, მისი აზრით, მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა გაამახვილონ ყურადღება. გთავაზობთ იმ ძირითადი დეტალების სანიმუშო ჩამონათვალს,

რომლებიც გამოიყენება ამბის რუკის შესავსებად:

პერსონაჟები	• ჩამოთვალეთ მოქმედი გმირები • დაასახელეთ მთავარი გმირი / გმირები • დაასახელეთ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები
მოქმედების ადგილი და დრო	• დაწერეთ, როდის მოხდა ეს ამბავი • ჩამოწერეთ ის ადგილები, სადაც ხდება მოქმედება
შინაარსი (სიუჟეტი)	• პრობლემა: დაასახელეთ მიზეზი, რატომ მოხდა ეს ამბავი (რამ გამოიწვია აღწერილი მოვლენები), ანუ რა პრობლემაა დასმული ტექსტში. • მოვლენები: დაწერეთ მოვლენათა განვითარების ძირითადი ეტაპები • შედეგი: დაწერეთ, როგორ გადაწყდა ტექსტში დასმული პრობლემა / იქნა თუ არა მიღწეული მიზანი
თემა	• დაწერეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი თემა / რა არის ამ ტექტში ყველაზე მნიშვნელოვანი / რა არის ავტორის მთავარი სათქმელი / რა არის ნაწარმოების მორალი

მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ტექსტის ძირითადი დეტალების იდენტიფიცირებაში, შეავსონ ჩამონათვალი დამატებითი დეტალებით ან სულაც შეიტანონ ცხრილში ახალი კატეგორიები.

1. მოსწავლეები კითხულობენ მთლიან ტექსტს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ მასწავლებლის მიერ გამზადებული ამბის რუკის შევსებას;
2. მუშაობის დასრულების სემდეგ, სასურველია, ნამუშევრების კლასში განხილვა და დისკუსიის მოწყობა.
3. გთავაზობთ ამბის რუკის ნიმუშს:

სათაური _____

მოქმედების ადგილი და დრო სად? როდის?

მთავარი გმირები სხვა პერსონაჟები

პრობლემა

მოვლენა 1	მოვლენა 2	მოვლენა 3

პრობლემა

აქტივობა: SQ3R **(გადახედვა - კითხვების დასმა - წაკითხვა - გამეორება - განხილვა)**

ხშირად მოზარდები ისე ამთავრებენ ტექსტის წაკითხვას, რომ წარმოდგენაც შეიძლება არ ჰქონდეთ, რა წერია მასში. ასეთი მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა ამ აქტივობის გამოიყენება, რადგან იგი უბიძგებს მათ აქტიური ფიქრისკენ კითხვის პროცესში და ეხმარება წაკითხულის გააზრებაში. აქტივობა „SQ3R“მოიცავს შემდეგ ხუთ ეტაპს:

- **გადახედვა**: კითხვის დაწყებამდე მოსწავლე თვალს გადაავლებს ტექსტს და მის შესახებ იღებს გარკვეულ ინფორმაციას, მაგალითად, გამუქებული (გამოკვეთილად დაბეჭდილი) საკვანძო სიტყვების ან ფრაზების, ქვესათაურების, ილუსტრაციების, თანდართული ცხრილების და ა.შ. მეშვეობით.
- **კითხვების დასმა**: გადახედვის საფუძველზე მოსწავლეს უჩნდება კითხვები წასაკითხი ტექსტის შესახებ. მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს და ჩაიწეროს ეს კითხვები.
- **წაკითხვა**: როდესაც მოსწავლე იწყებს ტექსტის კითხვას, ის უნდა ეცადოს, იპოვოს პასუხები მის მიერ წინასწარ დასმულ კითხვებზე. პასუხების ძიება დაეხმარება მას, მეტი ყურადღებით წაიკითხოს ტექსტი.
- **გამეორება**: კითხვის პროცესში მოსწავლეები იმეორებენ მათ მიერ დასმულ კითხვებს და ხმამაღლა სცემენ მათ პასუხებს. ისინი ჩაიწერენ ამ პასუხებს, რათა შემდგომში შეავსონ და დააზუსტონ ისინი.
- **განხილვა**: კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ წაკითხულ ტექსტს, კვლავ უბრუნდებიან მათ მიერ დასმულ კითხვებს და ცდილობენ დააზუსტონ და შეავსონ პასუხები.

ეს აქტივობა განსაკუთრებით მოსახერხებელია მცირე ჯგუფებთან და ცალკეულ მოსწავლეებთან სამუშაოდ. იგი მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს როგორც საკლასო, ისე საშინაო დავალებად.

აქტივობა: ტექსტის სტრუქტურა

ნებისმიერი ტექსტის კითხვისას მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ გაიაზროს მისი სტრუქტურა, ანუ გააცნობიეროს, როგორ არის ორგანიზებული ინფორმაცია, რომელსაც ის გვაწვდის. ეს ერთ-ერთი

გადამწყვეტი ფაქტორია წაკითხულის სრულფასოვნად გააზრებისთვის.

აქტივობის მიმდინარეობა:

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს საკითხავ მასალას, ხოლო კითხვის დაწყებამდე უხსნის მათ, რომ ყოველ ტექსტში ინფორმაცია გარკვეული სახით არის ორგანიზებული, რასაც ტექსტის სტრუქტურას უწოდებენ;
2. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ტექსტის სტრუქტურის ყველაზე გავრცელებულ ტიპებს. ასეთებია, მაგალითად:

- აღწერა
- მოვლენათა თანამიმდევრობა
- მიზეზი და შედეგი
- შედარება-შეპირისპირება
- პრობლემა და მისი გადაწყვეტა

ტექსტის სტურუქტურის სწავლებისთვის, სასურველია, რომ მასწავლებელმა შემდეგი მიდგომები გამოიყენოს:

1. მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეებს ტექსტის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურის ნიმუში;
2. მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს საშუალება, დააკვირდნენ სპეციფიკურ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვა სტრუქტურის ტექსტებისათვის;
3. მასწავლებელმა მოდელირების მიზნით უნდა აჩვენოს მოსწავლეებს მაგალითი, როგორ იქმნება ამა თუ იმ სტრუქტურის ტექსტი;
4. სასურველია, თუ მოსწავლეები შეთავაზებული მოდელების მიხედვით, თავად შეეცდებიან სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ტექსტების შექმნას.

გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილია ტექსტის სტრუქტურის ყველაზე გავრცელებულ ტიპების აღწერილობა, მათ ძირითადი მახასიათებლები და შესაბამისი გრაფიკული მაორგანიზებლების ნიმუშები:

სტუქტურის ტიპი	ძირითადი მახასიათებლები	სპეციფიკური ლექსიკა (სიტყვები და ფრაზები)	გრაფიკული მაორგანიზებელი	სანიმუშო კითხვები
აღწერა	ავტორი აღწერს საგანს ან მოვლენას, ჩამოთვლის მის დამახასიათებელ ნიშნებს, მოჰყავს მაგალითები	- ის არის... - მას ახასიათებს... - ის გამოიყურება... - მაგალითად, / როგორიცაა, მაგალითად... - კერძოდ...		- ვის (ადამიანს) ან რას (ცხოველს, ადგილს, საგანს, მოვლენას ან იდეას) აღწერს ავტორი? - როგორ გამოიყურება იგი? - რა თვისებები ახასიათებს მას? - როგორია ის? ა.შ.
მოვლენათა თანამიმდევრობა	ავტორი გარკვეული მიმდევობით (მაგ., ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ან ნუმერაციის მიხედვით) ჩამოთვლის მოვლენებს და საგნებს.	- ჯერ / პირველად თავდაპირველად... - ამის შემდეგ... - დასასრულს... - საბოლოოდ...	1. –––––––––– 2. –––––––––– 3. –––––––––– 4. –––––––––– [რა მოხდა პირველად?] [შემდეგი მოვლენა] [შემდეგი მოვლენა] [შემდეგი მოვლენა] [რა მოხდა ბოლოს?]	- რა მოხდა პირველად / ჯერ? - როგორ დაიწყო ეს ამბავი? რა მოხდა შემდეგ? - რის მერე რა მოხდა? - რა მნიშვნელოვანი ამბები / მოვლენებია აღწერილი? - რის მერე რა მოდის? - რა მოხდა ბოლოს?

მიზეზი და შედეგი	ავტორი ხსნის მიზეზშედეგობრივ კავშირებს მოვლენებს შორის; აღწერს/ გადმოგვცემს ფაქტს/მოვლენას, რომელსაც შედეგად მოჰყვება სხვა ფაქტი/მოვლენა.	- ეს იმიტომ მოხდა, რომ... - ამის მიზეზია... - ეს გამოწვეულია... - იგი იწვევს.... - რის ზეგავლენით - შედეგად... - აქედან გამომდინარე... - თუ.... მაშინ... - რადგან / იმიტომ, რომ....		- რა იყო ამის მიზეზი? - რატომ მოხდა ეს? - რა უძღოდა ამას წინ? - რამ გამოიწვია ეს? - რა მოჰყვა შედეგად / რა შედეგი მოჰყვა ამას? - რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოვლენას?
შედარება-შეპირისპირება	ავტორი აღწერს მსგავსებასა და განსხვავებას ორ მოვლენას, საგანს, პიროვნებას, შეხედულებას, იდეას და ა.შ. შორის	- ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ... - ისინი ერთმანეთს ჰგვანან... - მათ საერთო აქვთ... - ამის საპირისპიროდ... - ამის მსგავსად... - ერთი მხრივ..., მეორე მხრივ... - იგივეა, რაც / ანუ - ისევე, როგორც...		- რას და რას ადარებს ავტორი ერთმანეთს? - რატომ ადარებს ავტორი მათ ერთმანეთს? რა აქვთ მათ საერთო? - რა ნიშნით ამსგავსებს ავტორი მათ ერთამენთს? / რა ნიშნით განასხვავებს? - რა საერთო ნიშან-თვისებები აქვთ მათ? - რა განახვავებულლი ნიშან-თვისებები აქვთ მათ? რითი განსხვავდება ეს ნიშან-თვისებები ერთმანეთისაგან?

პრობლემა და მისი გადაწყვეტა	ავტორი სვამს პრობლემას და გვთავაზობს მისი გადაწყვეტის ერთ ან მეტ შესაძლო გზას. ავტორი წყვეტს პრობლემას და გვაცნობს მის შედეგებს.	- პრობლემაა ის, რომ... - ჯერ კიდევ არ არის პასუხი.... - არსებობს კითხვა/კითხვები... - უნდა გამოინახოს გზა, რომ... - უნდა გაკეთდეს არჩევანი - უნდა გადაწყდეს ეს საკითხი - პრობლემა მოგვარებულია		- რა პრობლემაა წამოჭრილი ტექსტში? - რატომ წარმოიშვა ეს პრობლემა? რა იყოს ამის მიზეზი? - რა შესაძლო გზები არსებობს / არის შემოთავაზებული მის გადასაწყვეტად? - ტექსტის მიხედვით, რომელია პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა?

აქტივობა: კლასში დასატოვებელი ბარათები

ეს აქტივობა სრულდება წერილობით. ტექსტის წაკითხვისა და მისი დამუშავების შემდეგ, გაკვეთილის დასრულებამდე დაახლოებით10-15 წუთით ადრე, მოსწავლეებმა უნდა შეავსონ მასწავლებლის მიერ მომზადებული სპეციალური ბარათები. ეს აქტივობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სრულად გამოავლინონ თავიანთი ცოდნა და გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება წაკითხულის შესახებ. ამ გზით ისინი იხსენებენ და თავს უყრიან ყველაფერს, რაც გაიგეს და ისწავლეს გაკვეთილზე და ახერხებენ, სისტემაში მოიყვანონ ეს ცოდნა. ამასთანავე, მასწავლებლისთვის ძალიან მოსახერხებელია ამ მეთოდის გამოყენება, რადგან დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში მას ყველა მოსწავლის შეფასების შესაძლებლობა ეძლევა.

გთავაზობთ ბარათების ნიმუშებს:

დაწერე, რა გაიგე დღევანდელ გაკვეთილზე.

_____

_____

_____

_____

_____

სახელი _____

შეაფასე, რამდენად კარგად გაიგე მასალა. დაუწერე საკუთარ თავს ქულა 1-დან 10-მდე. როგორ ფიქრობ, რა უნდა გააკეთო იმისათვის, რომ უკეთ გაიგო იგი?

_____

_____

_____

_____

სახელი _____

დაწერე, რაში გამოიყენებ ამ ცოდნას.

_____

_____

_____

_____

_____

_____

სახელი _____

დაასახელე ერთი საკითხი მაინც, რომლის შესახებ მეტის გაგებას ისურვებდი.

_____
_____
_____
_____
_____
_____

სახელი _____

დაწერე, რა ვერ გაიგე დღევანდელ გაკვეთილზე.

_____
_____
_____
_____
_____

სახელი _____

დაწერე, დღეს ნასწავლიდან რამ დაგაინტერესა ყველაზე მეტად.

_____
_____
_____
_____
_____
_____

სახელი _____

აირჩიე რომელიმე საკითხი (თემა) და დაწერე საკუთარი აზრი მის შესახებ.

_____

_____

_____

_____

_____

სახელი _____

მასწავლებელს შეუძლია დამატებით დაარიგოს ცარიელი ბარათებიც, რომლებსაც მოსწავლეები საკუთარი შეხედულებისამებრ გააფორმებენ. ამ ბარათებიდან მიღებული ინფორმაცია შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, შესაბამისად დაგეგმოს შემდგომი სასწავლო პროცესი.

აქტივობა: ჩარჩოები

ეს აქტივობა მოსწავლეებს ეხმარება წაკითხულ ტექსტში დასმული საკითხების, ძირითადი თემებისა და დეტალების ორგანიზებაში. ამისათვის ისინი იყენებენ სპეციალურ, იერარქიული ტიპის გრაფიკულ მაორგანიზებელს, რომელსაც ავსებენ კითხვის დასრულების შემდეგ.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გრაფიკულ მაორგანიზებელს და უხსნის, როგორ უნდა შეავსონ იგი;
2. მოსწავლეები ამოიცნობენ და შესაბამის ჩარჩოში ჩაწერენ იმ ძირითად საკითხს/თემას, რომელსაც ეხება წაკითხული ტექსტი. ეს ფაქტობრივად ტექსტის სათაურის ფუნქციას შეასრულებს;
3. მოსწავლეები ამოიცნობენ და მოკლედ ჩამოაყალიბებენ იმ მნიშვნელოვან მოსაზრებებს / იდეებს, რომლებიც ტექსტის მთავარ თემას/ძირითად საკითხს უკავშირდება;
4. ამის შემდეგ მოსწავლეები იხსენებენ იმ დეტალებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ მოსაზრებებისა თუ იდეების გაგებისათ-

ვის. ეს დეტალები მოსწავლეებს შეუძლიათ დაალაგონ იერარქიულად, მნიშვნელოვნების მიხედვით;

5. დაბოლოს, მოსწავლეები განსაზღვრავენ ტექსტის მთავარ სათქმელს და ჩაწერენ შესაბამის ჩარჩოში. ამ ჩანაწერს შეიძლება მიეცეს რეზიუმეს ან დასკვნის სახე;
6. გრაფიკული მაორგანიზებლის შევსების შემდეგ, სასურველია, მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება, გამართონ დისკუსიები წაკითხულის გარშემო, შეაფასონ მასში გადმოცემული მოსაზრებები და დამოკიდებულებები.

გთავაზობთ გრაფიკული მაორგანიზებლის ნიმუშს:



აქტივობა: კითხვები ავტორს

ეს აქტივობა ეხამრება მოსწავლეებს, გაიაზრონ მთლიანი ტექსტი და კრიტიკულად შეაფასონ ავტორის დამოკიდებულებები, მისი ენობრივი არჩევანი და სათქმელის გადმოცემის სტილი, რაც საშუალებას აძლევს მათ, გაცილებით ღრმად და საფუძვლიანად გააანალიზონ და შეაფასონ წაკითხული. ამ აქტივობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საკლასო დისკუსიების გამართვა თითოეულ კითხვასთან დაკავშირებით.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელმა ამ აქტივობისთვის უნდა შეარჩიოს ისეთი ტექსტი, რომელიც კარგად მასალად გამოდგება დისკუსიებისა და საუბრების გასამართავად;
2. მასწავლებელი მონიშნავს მონაკვეთებს, სადაც მოსწავლეებმა ცოტა ხნით უნდა შეწყვიტონ კითხვა, რათა დასვან კრიტიკული კითხვები და ამ გზით უფრო ღრმად გაიაზრონ წაკითხული;
3. მასწავლებელი თითოეული მონაკვეთისთვის წინასწარ ქმნის კითხვების ჩამონათვალს. მაგალითად, იგი ჩამოწერს ამგვარ კითხვებს:

- რისი თქმა სურს ავტორს ამ მონაკვეთში?
- თქვენი აზრით, რატომ გამოიყენა ავტორმა მაინც და მაინც ეს სიტყვა / ფრაზა ამ ადგილას?
- გეუბნებათ რამეს ეს ადგილი?
- თქვენ როგორ გადმოსცემდით იმავეს, რასაც ავტორი გვეუბნება? ა.შ.

აქტივობა: კითხვა და პასუხი

ეს აქტივობა გამოიყენება კითხვის შემდგომ ეტაპზე და ეხმარება მოსწავლეებს, განსაზღვრონ, რა ტიპის კითხვებზე უწევთ მათ პასუხების გაცემა და სად უნდა ეძებონ ეს პასუხები. ძირითადად, გამოიყენება ოთხი ტიპის კითხვები. ესენია:

- კითხვები, რომლებზე პასუხებიც პირდაპირ არის ტექსტში მოცემული. ხშირად ასეთ კითხვაში გამოყენებული სიტყვები და ფრაზები ემთხვევა ტექსტისას;
- კითხვები, რომლებიც მოითხოვს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში ინფორმაციის მოძიებას და თავმოყრას. ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემას მეტი დაფიქრება და მთლიანი ტექსტიდან

აზრის გამოტანის უნარი სჭირდება;

- კითხვები, რომლებიც ტექსტიდან გამომდინარეობს, მაგრამ მოსწავლისაგან საკუთარი გამოცდილების მოხმობას მოითხოვს. მართალია, ასეთ კითხვებზე პასუხები პირდაპირ არ არის ტექსტში მოცემული, მაგრამ მოსწავლეს მაინც სჭირდება მისი ყურადღებით წაკითხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად;
- კითხვები, რომლებზე პასუხის გასაცემად არ არის აუცილებელი ტექსტიდან რაიმეს გახსენება ან მასში ჩახედვა, მაგრამ მოსწავლეს სჭირდება ის ცოდნა (ინფორმაცია), რომელიც ამ ტექსტიდან მიიღო.

მასშემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან კითხვების ტიპებს, ისინი მეტად შემოქმედებითად მიუდგებიან კითხვის პროცესს, უფრო ჩაუღრმავდებიან ტექსტს და მოემზადებიან შედარებით მაღალ სააზროვნო უნარებზე ორიენტირებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად.

აქტივობა: შევაჯამოთ წაკითხული

ეს აქტივობა ასწავლის მოსწავლეებს, როგორ შეიძლება ვრცელი ტექსტის შემოკლება მისგან მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანის ამოკრების გზით. ამასთანავე, ამგვარი აქტივობების საშუალებით მოსწავლეები სწავლობენ წაკითხულიდან ყველაზე არსებითი საკითხებისა და მათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დეტალების ამოცნობას. ეს ტექნიკა ეხმარება მათ, კითხვისას ყურადღება გაამახვილონ ისეთ სიტყვებსა და ფრაზებზე, რომლებიც საკვანძო როლს ასრულებენ ტექსტის შინაარსის გასაგებად. წაკითხულის წერილობით შეჯამებაზე ვარჯიში საგრძნობლად უწყობს ხელს მოსწავლეთა წერითი უნარ-ჩვევების განვითარებასაც, რადაგანაც ამგვარი დავალების შესრულებისას ისინი იყენებენ ტექსტისგან განსხვავებულ სინტაქსურ სტრუქტურებს, ახალ ლექსიკას, მეტყველების ლაკონურ სტილს და ა.შ.

აქტივობის დაგეგმვა:

1. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ შერჩეული ტექსტი ან თავად კითხულობს მას ხმამაღლა;
2. კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი კითხვების დასმის გზითეხმარება მოსწავლეებს ნაწერის აგებაში. ასეთი კითხვებია, მაგალითად:

- რა არის ამ ტექსტის მთავარი თემა?
- რომელი ინფორმაციის (დეტალების) საშუალებით შეგვიძლია ამოვიცნოთ მთავარი თემა?
- რომელი ინფორმაციაა (დეტალებია) აუცილებელი, რომ ტექსტიდან აზრი გამოვიტანოთ?
- რომელი ინფორმაცია არ ეხება ტექსტის მთავარ თემას, ან რომელი მათგანია ზედმეტი?

1. მასწავლებელმა უნდა ურჩიოს მოსწავლეებს, რომ წერისას გამოიყენონ ის ძირითადი, ანუ საკვანძო სიტყვები და ფრაზები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ტექსტის მთავარ თემას.
2. მოსწავლეები მუშაობენ პირველი ვერსიის შექმნაზე. მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აცნობენ თავიანთ ნამუშევრებს მასწავლებელს და მისი დახმარებით აგრძელებენ თავიანთი ნაწერის დახვეწას: ცდილობენ მაქსიმალურად შეამოკლონ რეზიუმე ისე, რომ მასში დარჩეს მხოლოდ ყველაზე არსებითი და რელევანტური ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016) - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, თბილისი, 2011;
2. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI კლასები), ავტორები: თ. ჯაყელი, ი. სამსონია, ნ. დობორ-ჯგინიძე, თ. ცერაძე და სხვები, თბილისი, 2011;
3. Improving Adolescent Literacy: Effective Classroom and Intervention Practices – The Institute of Education Sciences (IES), 2008;
4. Timothy Shanahan - The National Reading Panel Report: Practical Advice for Teachers, Learning Point Associates, Naperville, IL, 2006;
5. Gina Biancarosa, Catherine E. Snow - Reading Next - A Vision for Action and Research in Middle an High School Literacy:A Report to Carnegie Corporation of NewYork – Alliance for Excellent Education, 2004.

ირინა სამსონია, ფილოლოგი

დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, კლასიკური ენების განყოფილება. 2008-2011 წლებში მუშაობდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელად. 2011-2012 წლებში იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლებისა და ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების დეპარტამენტის სახელმწიფო ენების ჯგუფის ხელმძღვანელი. 2012 წლიდან დღემდე მუშაობს გამოცდების ეროვნულ ცენტრში ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელად. აქვს პედაგოგიური გამოცდილება. ასწავლიდა ქართული ენასა და ლიტერატურას, ასევე ლათინურ ენას მე-6 საავტორო სკოლაში.